

საერთო მანქანა

№6 (556) • 26 თებერვალი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ღასი 1 ლარი

ზაზა შათირიშვილი:

„ჩვენ დავნილი ქრისტიანების გვერდით ვდგავართ“




პირველად იყო სიზჟვან

დისკუსია

მონაწილეობენ: კობა არაბული, ვახტანგ ხარჩილავა, ბუბა ხოტივარი, მარინე გიგინეიშვილი, ავთანდილ არაბული, ელდინო საღარაძე, გუბაზ მეგრელიძე, თამაზ ფირცხალავა, ვლადიმერ ქანტურიძე.

ლექსები



ლერი ალიმოვაკი

გური მოტოხავა

რომანი ბართავა

ანზორ აბულაშვილი

მახარობელი

წუხელის ბიჭი დაბადებულა,
 გადაჭარბებდად თუ არ ჩამითვლით,
 ისეთი ბიჭი დაბადებულა,
 დაურქმევიათ თურმე დავითი!

წუხელის ბიჭი დაბადებულა,
 დაურქმევიათ იმისთვის - ცოტნე,
 შენ - ორგულობავ, აბა გაბედე
 და გული ჩვენი ისევე კორტნე.

წუხელის შოთაც დაბადებულა,
 დაბადებულა თურმე დემეტრე,
 განგებავ, ჩვენი საქართველოსთვის
 რა სიხარული გამოიმეტე!

წუხელ ცის კარი ცხრავე გააღო
 ყველა გმირმა და თავდადებულმა,
 დაბადებულა თურმე ვახტანგი,
 წუხელ დემეტრე დაბადებულა.

საქართველოს ცა, ისეც მაღალი,
 უფრო მეტად ამალღებულა,
 დაბადებულა მთვარე-გიორგი,
 თურმე ილია დაბადებულა!

წუხელის მტერი - ერთპირად ჩვენი
 მოსპობის მდომი - დადარდებულა;
 დაბადებულა თურმე სულხანი,
 გრიგოლ ხანძთელი დაბადებულა.

დაბადებულა ბიჭი ჰაატა.
 გათენებულა წუხელის თეთრად:
 დაბადებულა სამასი გმირი,
 ვით დაიხოცნენ, ისევე ერთად!

წუხელის გოგოც დაბადებულა,
 ცის ნამი, ცისფრად ნაკამკამარი,
 ისეთი გოგო დაბადებულა,
 დაურქმევიათ თურმე თამარი.

დაბადებულა წუხელის ნინო
 და ქეთევანი დაბადებულა.
 ის ბნელი ღამე თურმე უეცრად
 ღვთიურის ნათლით განათებულა.
 ყველა ზღაპარი - ნაოცნებარი
 ახდენილა და გამართლებულა:
 დაბადებულა თურმე ნესტანი
 და თინათინი დაბადებულა.

და გიხაროდენ! ქართველთა შორის
 ღვიძლ ძმათა ხიდი კვლავ გადებულა
 და ერთიანი, ნანატრი დროის,
 ქართლი ხელახლა დაბადებულა!

გაზეთი გაზეთუი!

სსფს დრო

საქართველოს
მნიავთა ეროვნული
აკადემიის გაზეთი

№1 (6). 26 თებერვალი, 2020 წ.

ზაზა შატირიშვილი



„სხვა დროს“ სტუმარია ფილოსოფოსი ზაზა შატირიშვილი:

– ზაზა, რას იტყვი კანონზე, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, რომელიც საქართველომ 2004 წელს მიიღო?

– სანამ 2004 წელს სააკაშვილი ამ კანონს მიიღებდა, სხვათა შორის, შევარდნაძის დროსაც 1992–93 წლებში საკმაოდ ლიბერალური კანონი გვექონდა, უბრალოდ, მერე, ბოლო პერიოდში, უმცირესობების და ა.შ. უფლებები ჩაემატა. ბევრ ქვეყანაში, ეს ყველაფერი, უფრო რადიკალური ფორმითაც არსებობს. პრინციპში ტრენდიც ძალიან შეცვლილია. შეგიძლია სასამართლოში იჩივლო, თუმცა თავად უნდა ამტკიცო რომ ცილი დაგნამეს. საოცრება ხდება, დღეს ჟურნალისტი არის მღვდელი, ეს ცხადია. რა იყო სააკაშვილის მთავარი შეცდომა? – „იმედის“ დარბევა. ეს რომ არ გაეკეთებინა, ხმის ამომღები არავინ იყო. უბრალოდ, გაგვიმართლა, რომ „იმედი“ დაარბია, თორემ ჩამორჩენილი ადამიანების ხოცვა-ჟლეტა ხომ ჩვეულებრივად დაშვებული იყო. „იმედი“ გახლდათ რელიგია, თანამედროვე კულტი. „ნაცმოძრაობას“ რამდენჯერმე მოუვიდა ასეთი ფატალური შეცდომა, რაც „იმედთან“ დაკავშირებით დაუშვა. გავიხსენოთ, ფოტორეპორტიორების საქმე. მაშინ, ლმერთმა გადმოგვხედა. ჩვეულებრივი ადამიანი თუ ამოიღებს ხმას, მაშინვე დაიჭერ. ჟურნალისტი კი „ზეციური მანანაა“.

დღეს ამ რეალობის წინაშე ვართ. აქვს თუ არა ამას რაიმე კავშირი რეალურ თავისუფლებასთან? – რა თქმა უნდა, არანაირი კავშირი ამას რეალურ ანუ, ქვეშაღი თავისუფლებასთან არ აქვს. ეს, უბრალოდ, ისეთი საზოგადოების თვითრეგულაციაა, რომელმაც უარი თქვა მეტაფიზიკურ სანყი-

„ჩვენ დევნილი ქრისტიანების გვერდით ვდგავართ“

სებზე – საეკლესიო, ლეთაბრიკ ლეგიტიმაციაზე, მონარქიაზე, ეკლესიაზე და ა.შ. მაგრამ რა თქმა უნდა, ეს ქვიშაზე აგებული რეგულაციაა, რომელიც საბოლოო ჯამში, წინააღმდეგობაში მოდის საკუთარ თავთან, საზოგადოებასთან და ბოლოს დგება მომენტი რასაც შეიძლება ლიბერალური პარადიგმის თვითლიკვიდაცია ვუნდოდოთ. ანუ, ამას გარედან კი არ ანგრევს ვინმე, არამედ საკუთარი წინააღმდეგობების გამო, თავადვე იშლება შიგნიდან. აი, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი – ლიბერალურ პარადიგმას გარედან ვერავინ დაანგრევს. პირიქით, გარედან ნებისმიერი დარტყმა მათ აძლიერებთ. თვითონ იშლება თავისი შინაგანი წინააღმდეგობების გამო. ხდება მისი თვითგაშიშვლება. როგორც ანდერსენის ზღაპარშია – მეფე შიშველია. ისინი თვითონ ჭრიან იმ ტოტს, რომელზეც სხედან. აქედან გამომდინარე, საქართველოშიც ამ პროცესს ვხედავთ.

– ზაზა, ზემოთ ახსენეთ, თუ ცილისწამების გამო იჩივლე, თავად უნდა ამტკიცო რომ ესა თუ ის ქმედება არ ჩაგიდენია. სხვა ქვეყნებში ცილისწამებაზე მკაცრად გაგებინებენ პასუხის. აქ რა ხდება?

– იცი რა, მე, იურისტი არ ვარ და შემიძლია ამ საკითხს მხოლოდ ფილოსოფიური შეფასება მივცე. ის რაც იუპიტერს ევატიება, ხალხს არ ევატიება. ხალხი, ამ შემთხვევაში, არის ჩვეულებრივი ადამიანი, იუპიტერი – ჟურნალისტი. აქედან გამომდინარე, მართლაც ძალიან რთულია არა მხოლოდ იმის დამტკიცება, რომ ცილი დაგნამეს, არამედ აქ, მნიშვნელოვანია თუ ვინ ლაპარაკობს. ცილს ჩვეულებრივი ადამიანი რომ გნამებდეს, მისი დაჭერა მარტივად მოხდება, მაგრამ რადგან ამას ჟურნალისტი აკეთებს, ე.ი. დასაშვებია. იგივეა, ხელოვნებაში. ჩვენთან, ეს ნაკლებად ხდება, მაგრამ დასავლეთში ერთ-ერთი ძალიან სერიოზული თემაა მკრეხელობის რეგულაცია. რა არის მკრეხელობა? აქტუალური ხელოვნება, დაუშვავთ, შარდში ჩა-

დებული ხატი. ეს არის გამოხატვის თავისუფლება. ეს იგივეა, რაც ჟურნალისტიკის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში, აქტუალური ხელოვანი არის როგორც მედია-მოღვაწე. იგი, ისეთივე მარტვილია, როგორც ქართველი ჟურნალისტი. ესენი თანამედროვე წმინდანები არიან. ანუ, წმინდა ძროხები. ეს იდიომაა, შეურაცხყოფას კი არ ვაყენებ. გეთანხმები, სხვა ქვეყნებში, ცილისწამება, დასჯადია, თუმცა პრობლემები იქაც არის. მაგალითად, გერმანიაშიც კი, სადაც ერთ-ერთი ყველაზე უფრო სამართლებრივი დისკუსია და

ვით, ბოლოსდაბოლოს, საბჭოთა კავშირში, თავის დროზე, ასეთი რამ მოხდა: იული დანიელი და ანდრეი სინიავესკი მხატვრული ნაწარმოების დაწერის გამო დაიჭირესო. ანუ, ისევ ვიმეორებ, გააჩნია ვინ ლაპარაკობს და სად გადის საკრალური. საკრალური არის ლგბტ, ჰოლოკოსტი. ამას აქვს თავისი მგრძობიარე, საკრალური ნერტილები. ანუ, ეს რელიგიაა, ოლონდ, რომელიც ამბობს, რომ ის არ არის რელიგია და არის ნეიტრალურობა. ავილოთ, მაგალითი: როდესაც „ფუსი რაიოტი“ მოსკოვის კათედრალურ ტაძარში

ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ერთდროულად იცავდეს ლგბტ თემის უფლებებს და თან აზიზი-ეს მეჩეთის აღდგენას, აშენებას მოითხოვდეს. აზიზიეს მეჩეთი და ლგბტ როგორ ურთიერთობაშია ერთმანეთთან ვიცით, ხომ. მაშინ, რატომ ხდება, რომ აზიზიეს მეჩეთიც უნდა აშენდეს და ლგბტ-ს კულტივაციაც მოხდეს. ის რაც ქართულ კულტურაში, საკრალურის ტრადიციულ გაგებას უპირისპირდება, ყველაფერი კარგია. აი ეს არის ამოსავალი. ანუ, რაც ამ ტრადიციის წინააღმდეგ არის, ყველაფერი შესაძლებელია, მათ



დღემდე ერთ-ერთი საუკეთესო სამართალი აქვთ, გამოხატვის თავისუფლების კუთხით, კოლიზია ხდება. ოლონდ, ისევ ვიმეორებ: გააჩნია ვინ ლაპარაკობს. გამოხატვის თავისუფლებაც არის და გამოხატვის თავისუფლებაც არის ასეთი მწერალი მარტინ ვალზერი, რომელიც სიცოცხლეშივე კლასიკოსად აღიარეს. მის ერთ-ერთ რომანში ამოიცნეს ან გარდაცვლილი ებრაელი წარმოშობის გერმანელი კრიტიკოსი მარსელ რაიხ-რანიციკი ერთ-ერთი პერსონაჟის პროტოტიპად, რომელიც წიგნში საკმაოდ ცუდად არის გამოყვანილი. მარტინ ვალზერის წინააღმდეგ კამპანია დაიწყო, რომ ეს არის ანტისემიტიზმი, გესტაპო და ა.შ. ვალზერი ძალიან შეწუხდა. ბოლოს ვილაცხვებ გაახსენდათ და თქვენს: ხალხო, ასე ნუ მოვექცე-

ვთქვავს, ეს დასაშვებია, მაგრამ უბრალოდ, წარმოიდგინეთ, რომ ამას ჰოლოკოსტის მემორიალში – იადვამემში აკეთებს. ეს ხომ შეუძლებელია. ან წარმოვიდგინოთ, მსგავსი ქმედება მეჩეთში რომ განახორციელონ, რა მოხდება. მეჩეთში – ფიზიკური ანგარიშსწორების შეეშინდებათ, ხოლო იადვამემში ცეკვა – ეს, უბრალოდ, მათ მორალურ აღსასრულს ნიშნავს. აქედან გამომდინარე, არის რამდენიმე ერთმანეთთან დაპირისპირებული ტრადიციული ღირებულებების სისტემა, სადაც საკრალურის გაგებაა. საქართველოში, ამ პოზიციიდან, სამი მთავარი პრობლემაა: ქსენოფობია, ჰომოფობია და სემიტიზმი. თუ აქ, ეს არის საკრალური, იქ, საკრალურია – ენა, მამული, სარწმუნოება. მოდი, ასეთი კითხვა დავსვათ: შეიძლება თუ არა ერთიდაიგივე

შორის, აზიზიეს მეჩეთის აშენებაც. არსებობს ხელშეუხებელი რეალობები. მაგალითად, აშშ-ს პრეზიდენტი რაც არ უნდა ლიბერალური ღირებულების წინააღმდეგი იყოს, ქართველ ლიბერალს არ შეუძლია ამერიკის პრეზიდენტს აგინოს იმიტომ, რომ ის მაშინვე პუტინი ხდება. წარმოვიდგინოთ, რომ აშშ-ს პრეზიდენტი, ხვალ, პუტინი გახდა. გიგა ბოკერია შეწყვეტს პუტინის გინებას იმიტომ, რომ იგი ამერიკის პრეზიდენტი. ეს არის საკრალური. ასე, რომ ეს ყველაფერი არსებობს, ჩვენ უნდა ვიცოდეთ ამოცნობა – ვინ ვართ, სად ვართ, საკრალური რა არის. ნათქვამია: სადაც არის საუნჯე შენი, იქ, არის გული შენიო. აქედან გამომდინარე, როცა გამოხატვის თავისუფლებაზე ვლაპარაკობთ, ეს, რა თქმა უნდა, ფიქცია არ არის, არამედ გარკვეული ტიპის რეგულაცია – ვის, რა შეუძლია. წარმოვიდგინოთ, რომ გამოხატვის თავისუფლება ყველაფრის ლაპარაკს გულისხმობს. მაგალითად, „ფუსი რაიოტი“ შეუძლებელია ცეკვავდეს იადვამემში, მაგრამ თავისუფლად შეიძლება იცეკვოს წმინდა პეტრეს და სამების ტაძარში. ეს არის გამოხატვის თავისუფლება.

– ზაზა, აქვე „შარლი ებდოში“ დატრიალებული ტრაგედიაც გავიხსენოთ. ხომ შეიძლება ვილაცას ყელში ამოუვიდეს და რაც პარიზში მოხდა იმაზე უარესი, აქ, დატრიალდეს?

– როცა „შარლი ებდოს“ გაუსწორდნენ, სწორედ იმ დროს გამოვიდა მიშელ უელბეკის რომანი „დამორჩილება“, სადაც აღწერილია: საფრანგეთში, 1922 წელს





როგორ იმარჯვებს მაჰმადიანი პრეზიდენტი. რას გვეუბნება „შარლი ებლო“? – რომ ყველაფრის დესაკრალიზაცია შეიძლება, გარდა გარკვეული თემებისა. თანამედროვე სამყაროს თავისი საკარალური აქვს, რომელსაც ვერავინ შეეხება. ეს არის, მაგალითად, უცხო, ლტოლვილის ფიგურა. რატომ?! სხვათა შორის, ეს ძალიან საინტერესო მომენტია, რომელიც თანამედროვე საზოგადოებას გააზრებული არ აქვს. გავიხსენოთ, ალბერ კამიუს რომანი – „უცხო“. ვინ არის უცხო? მერსო – ადამიანი, რომელიც დედა უკვდება და საერთოდ ვერაფერს გრძნობს. ნახე, რა მოხდა – ტრადიციული საგვარტომო ურთიერთობების ამოვარდნა. აქედან გამომდინარე, მე, უკვე, ჩემი კულტურა აღარ მაქვს, ამ კულტურის ნაწილი აღარ ვარ. ანუ, დედის სიკვდილი არ მანუხებს, ამას ვერ განვიცდი. აქედან გამომდინარე, ეს არის არა გვარტომის და თანაგრძობის, არამედ ტოლერანტობის საკითხი. ამ გაგებით, ყველა ადამიანი – ნებისმიერი უცხო არის ჩემიანი. ჩემიანი უკვე უცხოა. კამიუმ, ძირითადად, ექსტენციული კავშირებისგან გაუცხოება აჩვენა. ნაწარმოების გმირი სრულიად შემთხვევით მოკლავს არაბს. რატომ? – იმიტომ, რომ ცხელია. მაშინ ჯერ კიდევ შეიძლება რაღაც თემებზე ლაპარაკი. ეს ომის, ოკუპაციის პერიოდშია დაწერილი. დღეს, მერსოების საზოგადოება. ამ მერსოების საზოგადოებაში, ასევე, შესაძლებელია ახალი ანთროპოლოგია, რომელიც ხელოვნური ადამიანის შექმნას გულისხმობს. მთავარი იდეა რა არის? – რომ უნდა შეიქმნას სიცოცხლის რაღაც მინიმუმი, რომელსაც რასობრივი, გენდერული თუ სხვა გენეტიკური მახასიათებელი არ ექნება, არამედ ბიოლოგიის მინიმუმი და ყველაფერს თავად აირჩევს. მერსოების საზოგადოება, ბოლოს, აქამდე დადის. აქედან გამომდინარე, უცხოთა თემაც ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია. უცხო არის, ასევე, წმინდა ძროხა. ამიტომ, აზიზის მექეთი უნდა აშენდეს. არსებობს რელიგიები, სადაც ახალი ანთროპოლოგიური, გენდერული პოლიტიკისა და რელიგიის შერწყმა ხდება. ეს ნებისმიერი კულტურის, სულიერი ადამიანისთვის აბსოლუტურად უცხო რამ არის, რასაც არანაირი ექსტენციული ღირებულება არ აქვს. თავისთავად, ეს ძალიან საინტერესო მომენტია. აქედან გამომდინარე, როგორც ორუელის „ფერმაშია“ ყველა თანაბარია, თუმცა, ზოგი უფრო თანაბარია, ვიდრე სხვები. ასე, რომ გამოხატვის თავისუფლება გარკვეული ტიპის რეგულაციებს ეყრდნობა, სადაც ყველას ერთნაირი უფლება არ აქვს.

– ზაზა, მგონი, მიმბაძველობის იქეთ, ჩვენი საქმე არ მიდის. უკულმა გააზრებული სიტყვის თავისუფლებით მორევში არ გადავიჩნებით?

– არა, არა, ეს არ არის მიმბაძველობა. მიმეზისი და მიმბაძველობა ყველგან არის, მაგრამ მთავარი ეს კი არა, არამედ უნივერსალური გლობალური რელიგიაა, რასაც მე გნოსტიკურ მატერიალიზმს ვეძახი. დიხს, თანამედროვე ლიბერალიზმს ამ სახით, შეიძლება, გნოსტიკური მატერიალიზმი ვუნოდოთ, რომელიც აგებულია შემდეგზე: მთავარი დოგმა რა არის? – თვითგამოხატვა და ეგოს კულტივაცია. აქედან გამომდინარე, რა როლსაც ადრე ღმერთი და ეკლესია ასრულებდა, დღეს იგივეს ეგო და მასმედია, თვითგამოხატვა ასრულებს. ოღონდ, ვიმეორებ: ყველანაირი თვითგამოხატვა, არა, თუ შენ ისე გამოხატე თავი როგორც მარტინ ვალზერმა, ეს უკვე თვითგამოხატვა კი აღარ არის, არამედ მკრეხელობა. მეორე მომენტია ის, რომ დასავლეთში ლიბერალიზმისთვის საკმაოდ მძიმე რამ მოხდა – 2016 წლიდან წამოვიდა ახალი ტრენდი, რაც გამოიხატა იმით, რომ აშშ-ში, ბრიტანეთში, ანუ, იქ, სადაც ლიბერალური ტრენდი იშვა და დაიბადა, პოლიტიკური თვალსაზრისით, ლიბერალური პარტიების სრული ფიასკო მოხდა და კონსერვატიულმა ტრადიციულმა ძალებმა სამაგალითოდ გაიმარჯვეს. დიხს, არ მომერიდება იმის თქმა, რომ ქრისტიანულმა ძალებმა გაიმარჯვეს. ამის მაჩვენებელია დონალდ ტრამპი და მისი, აბსოლუტურად, ცალსახა და მკაფიო მესიჯები. ასევე, ბორის ჯონსონის 25 დეკემბრის სიტყვა, სადაც პირდაპირ თქვა: ჩვენ, დევნილი ქრისტიანების გვერდით ვდგავართო. აშშ-ს პრეზიდენტის ცალსახა პოლიტიკა გვაფიქრებინებს, რომ ლიბერალური პარადიგმის დასასრული ახლოვდება. ე.ი. კომუნიზმისა და ნაციზმის დასასრულის შემდეგ მთავრდება მოდერნის მესამე – ლიბერალური პარადიგმა, რომელიც სწორედ ამ თვითგამოხატვის კულტივაციას გულისხმობდა. დიხს, სწორედ შიგნიდან ხდება მისი ჩამოშლა იმ უამრავი შინაგანი წინააღმდეგობის გამო, რაზეც უკვე ვილაპარაკეთ.

– აშშ-ში, იქ, სადაც ადამიანის უფლებათა დეკლარაცია იშვა, ზოგიერთი პუნქტის კორექტირებაზე ფიქრი დაიწყეს.

– დიხს, ტრამპმა და მისმა ადმინისტრაციამ ეს საკითხი დააყენა. მან, რელიგიური უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ბევრი რამ, უკვე, გამოასწორა. მაგალითად, დემოკრატებს და კერძოდ, ჰილარი კლინტონს ჰქონდათ ასეთი მოსაზრება: თავისუფლებისა

და თვითგამოხატვის სახელით, საჯარო სივრცეებიდან, მაქსიმალურად, იდენებოდა რელიგია და რელიგიური დისკურსი. მაშინ როდესაც ახალი ადმინისტრაცია და კონსერვატიული ტრენდი, რომელიც ტრადიციულ აპელირებს, პირველ რიგში, თვითგამოხატვას როგორც რელიგიურ პოზიციონერს, ისე გულისხმობს. ეს ამერიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დიხს, პირველ რიგში, თვითგამოხატვა საჯარო სივრცეში რელიგიური აღმსარებლობის დისკურსის გახმოვანებას გულისხმობს. ანუ, ტრამპმა რა გააკეთა? – გააუქმა კანონი, რომელიც გულისხმობდა შემდეგს: რელიგიურ პირს არჩევნების პერიოდში აქტიური პროპაგანდა არ შეეძლო. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ახალი რეგულაციით რელიგიური პირს უფლება აქვს თავის მრევლს მოუწოდოს ხმა მისცეს ამა თუ იმ კანდიდატს. პირდაპირ, ქადაგებშიც აქვს უფლება პოლიტიკური მოწოდებები და ფაქტობრივად, საარჩევნო რეკლამის. ტრამპი ამას რელიგიური თვითგამოხატვის უფლების დაცვად განიხილავს. ეს ჩვენებმა



საერთოდ არ იციან. განა საიდან ეცოდინებთ, როცა წარმოდგენა არ აქვთ, აშშ-ში როგორ ვითარდებოდა თავისუფლება.

– როგორ ფიქრობთ, ჩვენ შემთხვევაში, თავად საზოგადოებისთვის გამოხატვის, სიტყვის თავისუფლებას სიკეთე უფრო მეტი მოაქვს თუ ზიანი?

– საჯარო სივრცეში, რასაც ვუყურებ, საკმაოდ მძიმე სურათია შემდეგი თვალსაზრისით: ფაქტობრივად, ყურნალისტი, აბსოლუტურად, ხელშეუხებელია. მას შეუძლია საჯარო სივრცეში რაც უნდა ის თქვას. პატრონი არავინ არის. ამას აქვს თავისი პლუსიც და მინუსიც. ერთი მხრივ, პლუსი არის ის, რომ როგორც ზემოთ ვთქვე: ლიბერალურ პარადიგმას გარედან ვერავინ ჩამოშლის, თვითონ იშლება. ზუსტად ეს ინვესს ამ სისტემის დელეგიტიმირებას, რაც ბედნიერებაა. იგი თვითონ ანგრევს საკუთარ თავს. მინუსი არის ის, რომ ჰგონიათ: ყველგან ჩვენ ვართო. მეორე მხრივ, აბსოლუტური, დელეგიტიმაცია ხდება. აი, ასეთი ინტოქსიკაცია ხდება. ისინი ძალიან ტოქსიკურები არიან. მოდი, მათ თავი დავანებოთ და დაე, თავად მიიყვანონ საქმე ბოლომდე.

– მიწუსები და პლუსები ახსენეთ, სად გადის წითელი ხაზები, რათა გამოხატვის თავისუფლება მონსტრად არ გადაიქცეს?

– მინუსი, რაზეც ახლა ვისაუბრებ, ძალიან სერიოზულია. ეს სივრცე, უკვე, ვიცით. მათ რწმენა ეკარგებათ. აი, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი. 20 წლის წინ, ყველაფერთან ერთად, ლიბერალური

პარადიგმის რწმენა არსებობდა, რადგან მიაჩნდათ, რომ მას სიმართლე აქვს. რამ დაანგრია საბჭოთა კავშირი? იმან, რომ იგი შიშველ ძალაზე იდგა და მართალი სიტყვა აღარ არსებობდა. თუ 20–30-იან წლებში ილუზია არსებობდა, 60–70-იან წლებში არანაირი განცდა აღარ იყო. ყველაფერი იყო ტყუილი. ახლა, აქ, მთლად ასე არ არის. თავად ისინი სიძულვილის ენაზე მიგვითითებენ, არადა, ამ დროს, თვითონ იყენებენ ამ ენას. მაგრამ სწორედ ასე ხდება დელეგიტიმაცია და ხედავ, რომ აგრესიისა და შიშველი ძალის გარდა, სიმართლე აღარ არის. ეს ანგრევს ამ სისტემას. ვიმეორებ, თუ 30 წლის წინ იყო განცდა, რომ აქ, არის სიმართლე, დღეს, ეს განცდა აღარ არის იმის გამო, რაზეც ვილაპარაკეთ. შენი შეკითხვა ბევრად უფრო სერიოზულ ფილოსოფიურ საკითხს აყენებს – რა არის თავისუფლება? სახეზეა, თავისუფლების, აბსოლუტურად, არასწორი გაგება. ჯერ ერთი, თავისუფლება აბსოლუტური კი არა, არამედ რელატიური კატეგორიაა შემდეგი თვალსაზრისით: შეიცანით

ჭეშმარიტება და იგი თქვენ, გაგათავისუფლებთ. თავისუფლება ჭეშმარიტების გარეშე, აბსოლუტური, მონსტრია. მას ასეთი ღირებულება არ აქვს. თანამედროვე სიტუაციაში ჩვენ თავისუფლების ხატს ჭეშმარიტების გარეშე გვათავაზობენ, ანუ, ეს არის დოსტოევსკის „უშმაკი“, მეორე მხარეს – ჭეშმარიტება თავისუფლების გარეშე ანუ, იგივე, დოსტოევსკი, ოღონდ „დიდი ინკვიზიტორი“. ქრისტიანობა გვეუბნება: ჭეშმარიტება და თავისუფლება – შეიცანი ჭეშმარიტება და იგი გაგათავისუფლებს. ანუ, თავისუფლება ნეგატიური კატეგორიაა და არა პოზიტიური. თავისუფლების პოზიტიური გაგება არ არსებობს. იგი ნეგატიურია – რაღაცისგან ხდება გათავისუფლება. ასე, რომ უფლებები კარგად უნდა გადაიხედოს. ჩვენ გვაქვს არა უფლებები, არამედ მოვალეობები. აქედან გამომდინარე, ამის გადახედვა მაშინ მოხდება, როცა ეს პარადიგმა ბოლომდე დაინგრევა. ჩვენ სწორედ ამ ბინდ-ბუნდში ვართ.



– დღეს, ქვეყნის ნგრევა თავისუფლების გამოხატვის, დემოკრატიის სახელით ხდება?

– მოდი ასე ვთქვათ: რა არის ამ ყველაფერში მნიშვნელოვანი. რაღაც პერიოდში, ჩვენ დარწმუნებულები ვიყავით, რომ დემოკრატია არის ყველაზე ცუდი, მაგრამ მასზე უკეთესი არაფერი არ არის. დღეს მსოფლიოში რაც ხდება, გვაფიქრებინებს: რასაც ფართო გაგებით, დასავლეთი ჰქვია, არაფერი არ არის უკეთესი, ვიდრე ჩრდილოეთი და სამხრეთი, ხომ. თუ 30 წლის წინ იყო განცდა, რომ დასავლეთი რაღაც განსაკუთრებულს გვაძლევს, დღეს, დასავლეთში ლიბერალიზმი და დემოკრატია ერთმანეთთან წინააღმდეგობაში შევიდა. სწორედ ამიტომ არჩევნების შემდეგ, ჰილარი კლინტონი გაიძახოდა: ამერიკაში სისტემა უნდა შეიცვალოს და ხალხს ამდენი უფლებები არ უნდა მიეცეთო. ანუ, დღეს არის სიტუაცია, რასაც მე, დელეგიტიმაციის კრიზისს ვუნოდებ. წრმენა დაიკარგა და სწორედ ამ დროს დემოკრატიული იარაღის გამოყენებით აშშ-მ პრეზიდენტად ტრამპი აირჩია, რომელსაც ალტერნატივა არ ჰყავს. აღმოჩნდა, რომ ლიბერალიზმსა და დემოკრატია შორის ჰარმონია არ არის. პრობლემა რა არის? – თუ ძველი ე.წ. ნესწყობილება იმ მეტაფიზიკას ეყრდნობოდა, რომ დელეგიტიმაციის წყარო არის ღმერთი, დღეს, ეს წყარო, ხალხია. ხალხის რწმენა დაიკარგა. უკვე აღარ გვემის: რა არის ხალხი?! ხალხის სტიქიური დეკონსტრუქცია ხდება. ეს არის პრობლემა. პლატონმა აღწერა ექვსი წყობა, რომელიც ერთმანეთს ცვლის. დღესაც, ასეა. პლატონს დემოკრატია ესმის როგორც ლიბერალიზმი, სადაც ყველაფერი თავისუფლების სახელით თანაბრდება. ქალი და მამაკაცი, ემიგრანტი და ადგილობრივი, მონა და თავისუფალი, ადამიანი და ცხოველი – ყველაფერი თანაბრდება. მშობლებს შვილების უწინააღმდეგობა ახალგაზრდების და ა.შ. ამ ახალგაზრდულად უტიფარი წყობიდან ტირანია იბადება – ამბობდა პლატონი.

– ზემოთ უფლებები ახსენეთ. ეს რა უფლებებია, რომელიც დემოკრატიის სახელით, ერთ ადამიანს იცავს და მეორეს ვნებს?

– იდენტობების უფლებები სინდისის თავისუფლებას ეწინააღმდეგება. ვიმეორებ: ეს სისტემა შინაგანი წინააღმდეგობის გამო ინგრევა. გარედან ვინმე კი არ ანგრევს, ან პოპულიზმი ან ტრამპი კი არ ახორციელებს ნგრევას, არამედ შიგნიდან ინგრევა. ეს ნგრევა რომ ხდება, იმიტომ მოდის ტრამპი. ტრამპი არის არა აქტიური რომელიც მოვიდა, არამედ იგი არის სისტემის კრიზისის სიმპტომი.

თამარ შველიძე
555 23 28 24

პირველად იყო სისჯავა

კობა არაბული, პოეტი, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი: დიდხანია, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ვაკვირდები. საზოგადოებაში არის განცდა იმისა, რომ ქვეყანა სტაგნაციაში დასულიერ, კულტურულ დეპრესიაშია. ამავდროულად პოლიტიკური კრიზისი, რაც სახეზე გვაქვს, ჩემი აზრით, პოლიტიკური პარტიებისგან, აბსოლუტურად, ხელოვნურად არის შექმნილი. სინამდვილეში, ერთი ნორმალური პოლიტიკური პარტია არ გვყავს. „ნაციონალებს“ სურთ ამ ხელისუფლების სახლში გაშვება და თავად დაბრუნება, ანუ, ქვეყნის ნგრევა. მათ რევანში სწყურიათ, თორემ ხალხი კი არ ადარდებთ. პარლამენტში ბოქლომებით დარბიან და გაიძახიან: ხელისუფლება უნდა გადადგესო. სახელმწიფოს ამუხრუჭებენ – ურემს რომ მორს დაუდებნინ, ველარ მიდის. აი, ასე არიან გაჩხერილი გზებზე, მოსახვევებში, პოლიტიკურ სივრცეში. ვითარება რთულია. სახელმწიფოს ისედაც უჭირს – ქვეყნის ტერიტორიები ოკუპირებულია.



ქვეყნის ნგრევას ივანიშვილს აბრალებენ, არადა ეს თავად ჩაიდინეს. წარმოგიდგინათ, თავად ოკუპანტები, ახლა, ივანიშვილს უტარებენ ანტისაოკუპაციო მიტინგებს, კაცს რომელსაც სიკეთის მეტი არაფერი უკეთებია ქვეყნისთვის. „ნაცების“ ქმედება ამორალურია როგორც პოლიტიკურად, ისე ზნეობრივად. მკითხავთ, ალბათ, რატომ ვარ ასე აღშფოთებული და რა არის ჩვენი დისკუსიის მთავარი მიზანი? – საქმე ისაა, რომ ამ კლანების, სექტების მოძრაობა ყველაზე მეტად კულტურასა და ხელოვნებას აზიანებს. საინტერესოა, რა მორალური კატეგორიებით ხელმძღვანელობენ ეს პოლიტიკური პარტიები – მათ არც სამშობლო უნდათ, არც ერი, არც კულტურა, არც პატრიარქი და ა.შ. ეს აბსურდული გარემოა. დაესვათ კითხვა: რას ნიშნავს ეს, რომელ დროში ვბრუნდებით? ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ჩვენი სამეცნიერო, აკადემიური საზოგადოება ამ პრობლემებზე დუმს, არავითარი რეაქცია არ აქვთ. ერთი-ორი

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის, „საერთო გაზეთის“ და გაზეთ „სხვა დროს“ ინიციატივით გაიმართა დისკუსია, რომელიც მიქცენა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხებს, იმ საკითხებს, რომლებიც საზოგადოებას და სახელმწიფოს შეიძლება დაემუქროს, როცა ყალბად გავებულები სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება პოლიტიკური პარტიების თუ სხვადასხვა ავანტიურისტული ჯგუფების

კაცის პროტესტი საკმარისი არ არის. ხმას არ იღებენ არც მწერლების დიდი ნაწილი, არადა მწერალთა კავშირში თუ არ ვცდები 800-მდე მწერალია განვევრინებული. სად არიან, რატომ არ ისმის მათი ხმა?! ნუთუ ვერ ხედავენ, რომ კულტურულ სივრცეს გვინგრევენ. დაუბრუნდეთ, პარტიებს. მათ პროგრამა, ეროვნული, ეკონომიკური კონცეფცია, იდეოლოგია არ გააჩნიათ. ერთ შედარებას მოვიშველიებ: მეცნიერები ამბობენ: მთვარე დედამიწის ფარიაო. მეტეორების თავდასხმის დროს, დედამიწას, მთვარე იცავს. არამხოლოდ მეტეორებისგან გვიცავს, არამედ ყველა დარტყმას საკუთარ თავზე მთვარე იღებს. ის რომ არ იყოს, დედამიწა დაინგროდა. ასევე, მთვარე არეგულირებს ადამიანის სისხლის, მდინარეების მიმოქცევას. ქართველი ერისთვის კულტურა მთვარის როლია. ჩვენ თუ კულტურას დაგვინგრევენ და უკვე დაგვინგრეის კიდეც, ჩათვალეთ, რომ ეს აპოკალიფსისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ერთ-ერთმა ფილოსოფოსმა თქვა: კაცობრიობას გამოსავალი არ აქვს, მიღვეისკენ, კატასტროფისკენ მიდისო. ჩვენი ინერტულობით სწორედ ამ პერიოდს ვუახლოვდებით. ვფიქრობ, შემოქმედებითმა ინტელიგენციამ ფართომასშტაბიანი კონფერენცია მოვანყოთ და ამ თემებზე ვიმსჯელოთ. ღიად ვთქვათ: რა გააკეთა ხელისუფლებამ იმისთვის, რომ ეს სატანური ძალა პოლიტიკიდან ჩამოეშორებინა. ერთ-ერთმა გერმანელმა იდეოლოგმა ფაშისტური ორგანიზაციების წინააღმდეგ წიგნი დაწერა. იგი საკმაოდ საინტერესო სენტენციას აყალიბებს, რაც გერმანიაში ფაშისტური სისტემების უკან მობრუნების წინააღმდეგ მითარულ იდეოლოგიად იქცა. აი, რას ამბობს: სახელმწიფოს საფრთხეს უქმნიან არა ხელისუფლებები რომლებიც მას ჰყავს და მართავენ, არამედ გადამდგარი მთავრობები, რომლებიც უკან მობრუნებას ცდილობენ და საკუთარი ამბიციის და რევანშისტული პოლიტიკა ამოქმედებთ. ისინი ქვეყანას ანგრევენ და ლუპავენ. დიახ, სახელმწიფოს,

ხელში ანგარიშსწორების იარაღად იქცევა.

ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ დებატებს ამ თემაზე და აქვე მოგახსენებთ, რომ დისკუსია ღიაა და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს.

გთხოვთ, გამოგვეხმაუროთ.

**საინიციატივო ჯგუფი
საკონტაქტო ტელეფონები:
593 44 04 01; 595 57 99 43.**

ერს ანგრევენ, ძირს უთხრიან ნასული, გადამდგარი მთავრობები, რომელთაც უკან დაბრუნება მხოლოდ რევანშისტული ამბიციებისა და ძალაუფლებისთვის უნდათ. გაერთიანებული ოპოზიციის დიდი უმრავლესობა უკვე იყო ხელისუფლებაში. რაც გააკეთეს, ყველამ მშვენივრად ვიცით. მარტო ის კმარა გასახსენებლად, რომ ტერიტორიები დაეკარგეთ. არენაზე ნორმალური პოლიტიკური პარტია არავინ ჩანს, ვისაც შეიძლება მხარი დაუჭირო. გაერთიანებული ოპოზიცია ხელისუფლების გადადგომას მოითხოვს, მაგრამ ისმის კითხვა: ვინ მოდის? ეს ჩვენი ტრაგიკული ბედისწერაა. საზოგადოებიდან ეროვნული მოღვაწე, ბრძენი კაცი განდევნილია. ადრე სოფელი ბრძენ-კაცს ეკითხებოდა ჭკუას და ისე წყვეტდა პრობლემას. ლიდერის გამოჩენა საჭირო. ქვეყანას ერთდროულად ყველა ხომ ვერ მართავს. დღეს, მასა, ლიბერალტული სამყარო, აბსოლუტურად, უპირისპირდება პიროვნებას, მის ღირსებას. ლიბერალტულმა სამყარომ დაანგრია ეროვნულობა და ანგრევს მსოფლიოს. სანამ ეს პროცესი არ შეჩერდება, არაფერი გვეშველება. ტრამპმა ეს საფრთხე, უკვე, იგრძნო და მას უპირისპირდება. ჩვენ კი ისტორიული, საკრალური, ზნეობრივი სივრციდან გასული ვართ. მით უმეტეს, ეს ეხება ჩვენს პოლიტიკურ ელიტას. ქვეყანას იდეოლოგია ხომ უნდა ჰქონდეს. ქვეყნის ბედი მანუხებს. ილიამ და კიდევ ხუთმა კაცმა მე-19 საუკუნეში დალუპული ქვეყანა გადაარჩინეს. 21-ე საუკუნეში რა დაგვემართა, რატომ ვერ ვშველით სამშობლოს?!

მარინა გიგინიშვილი, ჟურნალისტთა ფედერაცია: ჩვენი დღევანდელი შეკრების მთავარი ამოცანა ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებასა და წინსვლაზე მსჯელობა და გამოსავლის ძიებაა. მე, ჟურნალისტი გახლავართ და მინდა თქვენთან ერთად გავაანალიზოთ: რა გვეშლება, რაში ვცდებით და რა გავაკეთოთ უკეთესი მომავლისთვის. მთავარი საკითხი რაზეც თქვენი აზრი მაინტერესებს, შემდეგია: ეს გახლავთ ქვეყნის საფიქრა-

ლი. ყველაზე დიდი პრობლემა, დღეს, ჟურნალისტიკაში „ფეიკ-ნიუსებია“. მსოფლიოში ყველგან ასეა. მისი არეალი ძალიან გაზრდილია, განსაკუთრებით, ინტერნეტ-მედიის საშუალებით. საკმარისია ერთი სიტყვა და იგი მომანტალურად, ათასნაირი პლატფორმის მეშვეობით ვრცელდება. 1 თებერვალს გაიმართა პრეზიდენტთან შეხვედრა. მოგესხენებათ, 2004 წელს ცილისწამების დეკრიმინალიზაცია მოხდა. ანუ, ცილისწამება ადრე სისხლის სამართლის წესით თუ ისჯებოდა, დღეს, ასე აღარ ხდება. სიტყვა – თავისუფლება დაცულია ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის ეთიკის ქარტიით, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ამით მეორე ადამიანის აზრის შეურაცხყოფა, თავისუფლება უნდა იყოს დეკლარირებული. ერთი ადამიანის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც მეორე ადამიანის ცხვირი იწყება. ჟურნალისტი ვცოდავთ შემდეგში: მიგვაჩნია, რომ სიტყვის თავისუფლების სახელით ადამიანი კუთხეში უნდა მივაყენოთ და ინფორმაცია გამოვძალოთ. ამ საკითხზე, ინტელიგენციის და მოკიდებულება მაინტერესებს. თქვენი აზრით, ცილისწამება როგორ უნდა შეეწინააღმდეგოს ქართული ჟურნალისტიკა. ცილისწამებამ, შეურაცხყოფამ შეიძლება ადამიანი მოკლას. დღეს, ცილისწამებები იგივე „ქილერები“ არიან, რომელთაც იარაღის ფორმად სიტყვა აქვთ გამოყენებული. დღევანდელი კანონმდებლობით ცილისწამება სისხლის სამართლებრივი წესით არ ისჯება. ეს კანონი „სიტყვი-



სა და თავისუფლების გამოხატვის შესახებ“ სააკაშვილმა 2004 წელს მიიღო და ამ დრომდე მოქმედებს. რას ფიქრობს ქართული ინტელიგენცია – ისევ უნდა მოხდეს თუ არა ცილისწამების კრიმინალიზაცია, ანუ, ცილისწამება კვლავ დასჯადი იყოს თუ არა? ეს ძალიან მნიშვნელოვანი იურიდიული თემაა. დღეს თუკი მტკიცების ტვირთი მოსარჩელეზეა, იმ შემთხვევაში, თუ ცილისწამება დასჯადი იქნება, მტკიცების ტვირთი მოპასუხის მხარეზე გადაწვინდება. როდესაც შენ, როგორც ჟურნალისტი გირჩევენ და საქმე აღიძვრება, ჟურნალისტი ხდება თავის მმართველი. ანუ პოზიციები იცვლება. დღევანდელი კანონმდებლობით თავის სიმართლეს მოსარჩელე ამტკიცებს. ცილისწამების კრიმინალიზაციაზე საუბარი დანებებულია. ამაზე, უკვე, პრეზიდენტიც საუბრობს. თუმცა, ამის სასტიკი მონაწილემდეგნი არიან არასამთავრობო ორგანიზაციები. ანუ, ამ საკითხს ჰყავს მონაწილემდეგნიც და მხარდამჭერნიც. მინდა თქვენი აზრი მოვისმინო: როგორ დავაყენოთ ჟურნალისტიკა სწორ გზაზე?! სიტყვის თავისუფლად გავრცელებას არ უნდა გადაყვეს ადამიანი, ქვეყანა, მისი იმიჯი და ავტორიტეტი.

საფრანგეთში მაკრონმა მიიღო კანონი, დეზინფორმაციის გავრცელების შესახებ არჩევნების პერიოდში, თუმცა მას ძალიან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. სამწუხაროდ, ვინც დღეს მაღალ მატერიებზე, სამშობლოზე საუბრობს, ასეთი ადამიანების მარგინალიზაციას ძალიან ადვილად ახერხებენ. ამის გადაფარვა სხვა ღირებულებებით ხდება. მიიჩნევენ, რომ ეს წარსულის გაცოცხლება და ა.შ. კი ბატონო, დღევანდელი თანამედროვე მოთხოვნებიც გავითვალისწინოთ, მაგრამ წარსული და ის რეალობა არ უნდა დაგვავინყდეს, რაც დღეს ქვეყანაშია. ტრადიცია, ფასეულობები, ის ღირებულებები არ უნდა დაგვკარგოთ, რითაც ვსულდგმულობთ. ზოგადად, უნდა გავხედოთ ადამიანები, რომლებიც მიდიან წინ, უფრთხილებიან წარსულს და ორიენტირებულნი არიან განვითარებაზე.

პანტაზ ხარჩილაძე, პოეტი, „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი: ქალბატონმა მარინამ ძალიან საინტერესო თემა წამოჭრა. ამ საკითხზე საუბარი დღეს და გუშინ არ დანებებულა. პირადად, მე, „საერთო გაზეთში“ ათი წერილი მაინც მაქვს გამოქვეყნებული ამ პრობლემის გარშემო. ხელისუფლებიდან ამის შემსმენი არავინ გამოჩნდა. აბა, დააკვირდით, როცა ამათუიმ ხელისუფალს მეორე მხარე ლანძღავს, პასუხის გასაცემად



პირს გააღებს თუ არა, მაშინვე აჩუმდები. ეს სიტყვის გამოხატვის, თავისუფლების ხელყოფაა, ხომ. სიტყვის თავისუფლება გახლავთ სატანური ხერხი და მეთოდი, რითაც ადამიანებს კი არა, დღეს, ქვეყნებსა და სახელმწიფოებს ანგრევენ. ბატონმა კობამ სწორად აღნიშნა: ამაზე ფიქრი იქაც დაიწყეს, სადაც ეს კანონი იშვა. იგივე, ტრამპის ადმინისტრაციაში სერიოზულად დაიწყო საუბარი შემდეგზე: საერთოდ, რა არის ეს ადამიანის უფლებები? ჩვენ, ჯერჯერობით, ამას მონური თავდახრით ვუყურებთ. სინამდვილეში, ზუსტად ეს არის ის, რითაც ჩვენი სახელმწიფო თავზე დაგვამხეს. აქ, მხოლოდ ერთი პიროვნების შეურაცხყოფაზე არ არის საუბარი. აბა, გაიხსენეთ, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების საფარქვეშ როგორ ილანძღებოდა თამარ მეფე, ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე, ქართული ტრადიციები, ზოგადად, ქართველი კაცი. ეს ხომ ჩვენს თვალწინ ხდება. რაც შეეხება პიროვნების ღირსების შელახვას – ჩვენს რეალობაში, იგი, საერთოდ, ფეხქვეშ არის გათელილი. თქვენ, ქალბატონო მარინა, შურნალისტთა კორპუსს წარმოადგენთ და უნდა აღიაროთ, რომ სამწუხაროდ და საუბედუროდ, ქართული შურნალისტიკა ამ ძალიან ცუდი, ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების თანამოაზრე, თანამონაწილე და შემსრულებელია. ყველა შურნალისტზე არ ვსაუბრობ, თუმცა, ზოგადად, ქართული შურნალისტიკა, ზუსტად ამ ბოროტების სათავესთან დგას. თქვენ, ამის უარყოფა ძალიან გაგიჭირდებათ. მიუხედავად იმისა, კარგად ვიცი თქვენი შეხედულებები, პოზიცია, რამაც აქაც გაიჟღერა, თქვენ, დღეს არანაირ სადავეებს აღარ ფლობთ. თქვენ, ქალბატონო მარინა, უბრალოდ, შურნალისტიკა წაგართვეს. დიახ, შურნალისტიკა ჩვენს საზოგადოებასაც წაართვეს. სახელი – შურნალისტიკა გაუფასურდა. რომელ შურნალისტზე ვსაუბრობთ, როცა დიდმა ნაწილმა წერა-კითხვაც კი არ იცის. ისინი დავალებს ასრულებენ. დღეს ქართულ სინამდვილეში შურნალისტი, პუბლიცისტი ძალიან ცოტაა. ესეც, ხელოვნურად მოხდა. შურნალისტიკა მოკლეს. ქართული შურნალისტიკა, სამწუხაროდ, ელისო კილაძის ჭორებზე და დავიდა. ეს ქალბატონი ცოცხალი განსახიერებია იმისა, თუ რა ხდება ქვეყანაში. სულ არ მენაღვლება, ვისაც, რამდენი შეუძლია იმდენ გვერდინი

გაზეთი გამოსცეს, მაგრამ ჩვენ ხომ ძალიან კარგად ვიცი რას წარმოადგენს „ქრონიკა“. ეს გაზეთი 42 გვერდინია, ვილაციები აფინანსებენ. საკმაოდ ცოტა იყიდება, მაგრამ გამოდის. რა ხდება? – აი, ამის სათავესაც კი ვერ მივაგენით, ვერ მივაკვლიეთ. აი, ამ ქალბატონმა ელისომ დღეს „რუსთავი-2“-დან „მთავარ არხზე“ გადმოინაცვლა. ეს გახლავთ მთელი ჯაჭვი ადამიანებისა, რომლებიც შეკავშირებული არიან არა იმით, რომ თავის ქვეყანას, საზოგადოებას ემსახურონ, არამედ ვილაციის დავალება შეასრულონ. ეს დავალება არ არის ქვეყნის შიგნიდან წამოსული. ვინ უნდა აღუდგეს ამას? მე და თქვენ ვერ აღუდგებით, ხომ? არსებობს სახელმწიფო სამსახურები, რომლებიც ამის წინააღმდეგ უნდა მოქმედებდნენ და ეს ხალხი ამხილონ. ჩვენი სამსახურები, ხანდახან, შესანიშნავად იყენებენ კილაძეებს. ვინაშე პოლიტიკური ინტერესების, საკუთარი ეგოისტური ზრახვების, ქვეყნის საზიანოდ ამ ველის დაბინძურება, დანაგვიანება ხდება, რასაც შურნალისტიკა ჰქვია. რაც შეეხება ქალბატონი პრეზიდენტის ინიციატივას, მივესალმები, მაგრამ

თველოშიც მოხდეს. აქ, ჩვენი ფსევდო-შურნალისტები გამოდიოდნენ და გაიძახოდნენ: მე ვარ შარლ ებდოო. საიდან მოვიდა ეს ხალხი, ვინ არიან. მათი არაფერი წამოკითხავს, ნააზრევი არ მომისმენია და ამ დროს ვილაცას კაბინეტში უფარდებიან, შეურაცხყოფას აყენებენ. დღეს შურნალისტის სახელის, იარღის მინებება ადვილი გახდა, რის უკანაც, ზოგჯერ, სპეცსამსახურები დგანან. არ არსებობს არავითარი კონტროლი, შემაკავებელი მექანიზმები. ბეჭდურ მედიაში ეს პრობლემა შეიძლება ნაკლებად არის, მაგრამ ელექტრონული მედია მთლიანად წაღვეს, საერთოდ აღარ არსებობს. მოკლედ რომ ვთქვა: უმსგავსობის ზემოა. ადამიანები იძულებულნი არიან დღე და ღამე ნიკა გვარამიას და გიორგი გაბუნიას უსმინონ. წარმოგიდგენიათ, ეს რა უბედურების პიკი, მწვერვალია. დღეს, საქართველოში არავინ არის ისეთი, ვინც თავის მოქალაქეს დაიცავს იმიტომ, რომ თავადაც დაუცველია. ბატონმა კობამ იკითხა: როგორ გამოვიდეთ ამ სიტუაციიდან, მე-19 საუკუნე ილიამ და კიდევ ხუთმა კაცმა გადაარჩინა, ჩვენ რა მოვიმოქმედოთ. პირველ რიგში, უნ-

მაღალ ოლიმპზე დგანან, რომ არ ერევიან. დიახ, ასეთი ხალხი არ ერევა ქვეყნის საქმეში იმიტომ, რომ დაშინებულია, ოლონდ, დამშინებელი არ ჩანს. თვითონ არის პარაზიტი, ასე მიაჩვიეს, ასე იცხოვრა, ასე წერა თავისი უღიმღამო ნაწარმოებები და პასუხისმგებლობა არავის წინაშე არ გააჩნია. ანუ, საზოგადოებამ შიგნიდან რალაც ძალები უნდა გამოიწვიოს. დამიჯერეთ, სხვა ამას არავინ გააკეთებს. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ხვალ, იდეალური ხელისუფლებით რომ შეიცვალოს, ამ საკითხების მიმართ ისეთივე ინერტული იქნება, როგორც დღევანდელი. ეს საზოგადოების გასაკეთებელია. ამ საზოგადოების მთავარი წარმმართველი როლი ინტელიგენციამ უნდა იტვირთოს – მეცნიერებმა, მწერლებმა, თეატრალებმა, კინოხელოვნებმა. სად არის ეს ინტელიგენცია, მე არ ვიცი. ასეთი სავალალო სურათია. აუცილებლად უნდა მოვანყო შეხვედრები და ჩვენი სათქმელი მკაფიოდ ვთქვათ.

თამაზ შირცხალავა, „იბერიონი“: კარგად მესმის თქვენი გულსტიკვილი. როდესაც პრობლემა ბევრია, მთავარია გავიგოთ: რა არის მიზეზი. ეს შეიძლება ზედაპირზე არ დეკს, მაგრამ ინტელიგენციამ უნდა მოახერხოს ის, რომ ამ მიზეზებში ღრმად ჩაიხედოს. არსებობს გარე და შიდა მიზეზები. შიდა უფრო მნიშვნელოვანია. მოდით, ჯერ გავიხედოთ რაც თავისუფლებას შეეხება, დღეს, მთელს მსოფლიოშია. მსოფლიოზე გლობალიზაციის მავნე ზემოქმედება იქამდეც კი მივიდა, რომ ტრამპი აცხადებს: გლობალიზაციას მომავალი არ აქვს, მომავალი აქვს პატრიოტიზმს. ეს იმ დროს, როდესაც მთელი მასშტაბით ხდებოდა სოროსის მიერ დაღვრილი გეგმის განხორციელება. სოროსის დაფინანსებული ჯგუფები, დღესაც, მთელს მსოფლიოში მოქმედებენ. ჩვენ, ამ საქმეში, ერთ-ერთი ჩირაღდანი გვეჭირა და დღემდე გვიჭირავს. ქართველი პარლამენტარები ახლა ვაშინგტონში რომ იყვნენ, მათ პირდაპირ ასე დაუყენეს საკითხი:



ეს თემა მაშინ გაახსენდა, როცა თავად მას მიადგენ. მანამდე, ვილაცი-ვილაციებს მშვენივრად უსმენდა. აბა, შეიხედეთ პრესის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში, სრული უნიგნურობაა. ისინი არიან ადამიანები, რომელთაც არაფერი აინტერესებთ, წერა-კითხვა არ იციან. ვინმე დამაჯერებს, რომ ეს სპეციალურად არ ხდება?! ეს სწორედ იმიტომ ხდება, რომ ასეთი ადამიანები ადვილად სამართავები არიან. ამის უკან, სინამდვილეში, ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას. დღევანდელია, ჩვენი რეალობა, ე.წ. ოპოზიციური პარტიების ზღვარსგადასული ბრძოლა სახელმწიფოს წინააღმდეგ ზუსტად ამ გამოხატვის თავისუფლებაზეა აგებული, რასაც წინ ვერავინ აღუდგა. ყველას გვახსოვს საფრანგეთში „შარლ ებდოს“ ტრაგედია. გამორიცხული არ არის, მსგავსი რამ საქარ-

და გავაცნობიეროთ, რომ ჩვენს გასაკეთებელს სხვა არავინ გააკეთებს. ჩვენ – საზოგადოება მაყურებლის როლში ვართ. ამ უმსგავსობას ვუყურებთ, არ ვმოქმედებთ, პროცესებში არ ვმონაწილეობთ. თითო-ოროლა კაცზე არ არის საუბარი. ზოგადად, საზოგადოება ვერ შეიქმნა. კი ბატონო, მე-19 საუკუნე ხუთმა კაცმა გადაარჩინა. წარმოიდგინეთ, როგორი განსხვავებაა მე-19 საუკუნის შურნალისტიკასა და დღევანდელს შორის. ვინ მოღვაწეობენ მე-19 საუკუნეში როგორც პუბლიცისტები? – ილია, აკაკი, ვაჟა და ა.შ. იქ, ყველა ილია – ერთი პოზიციის, მიზნის გარშემო არის შეკრებილი. დღეს, სად არის ეს ხალხი? – მიხვალ მწერალთან, პოეტთან, თეატრალთან და ჰკითხავ: ორიოდ სიტყვა გვითხარით: რა ეშველება ქვეყანასო, იგი გიპასუხებთ: მე, პოლიტიკაში არ ვერევიო. ილია ერეოდა, მაგრამ ესენი იმდენად

სოროსთან თანამშრომლობას გააგრძელებთ თუ არაო. იმპიჩმენტის საკითხი რომელიც ტრამპს მოუწყვეს, სოროსის დაფინანსებული იყო. მეტსაც გეტყვი: ტრამპის მრჩეველმა გადაიღო 50 წუთიანი ფილმი, სადაც ნაჩვენებია მაიდანზე განხორციელებული დახვედრები და იანუკოვიჩის მთავრობის გადადგების ამსახველი ვიდეო-კადრები და ის ადამიანები, რომლებიც ამაში მონაწილეობდნენ. ასე კაცის დახვედრას სპეციალურად მოხდა და ესეც, სოროსის მიერ იყო დაფინანსებული. ამ საქმეში, სხვათა შორის, ჩვენი ყოფილი ხელისუფლებაც არის გარეული. ტრამპი სოროსის წინააღმდეგაა განწყობილი. შესაბამისად, ჩვენ, დღეს, შესანიშნავი საშუალება გვაქვს ამ ტრენდში ჩავვდეთ. უბრალოდ ამას გაბედულება სჭირდება. იცით, რატომ? – სამწუხაროდ, ყოფილი და დღევანდელი ხელისუფლების დიდი ნაწილი სოროსის შვილები არიან. იმაზე არ არის საუბარი ამერიკას „ნაცები“ უნდა თუ „ქოცები“. მას დღეს არცერთი არ უნდა, მაგრამ რადგან ხელისუფლებაში „ქართული ოცნებაა“, იგი მკაცრად გააფრთხილეს: შენ, საქართველოში, სოროსი, აუცილებლად უნდა ამოძრკვო. ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სოროსმა 24 მილიარდიდან 16 მილიარდი დაკარგა.ე.ი. უკვე მსოფლიო გადადის პატრიოტიზმზე და არა გლობალიზაციაზე. ტრამპმა ეს შემთხვევით არ თქვა. ეს იქაც ძალიან დიდი პრობლემაა. ისეთი დაპირისპირება როგორც დღეს დემოკრატებსა და რესუბლიკელებს აქვთ, ამერიკის ისტორიაში არასდროს ყოფილა. ეს თვით ამერიკისთვისაც და მთელი მსოფლიოსთვის დამანგრეველი ძალაა, ამიტომ აქედან გამოსავალს ეძებენ. ახლა რაც შეეხება შიდა მიზეზებს – გარე ძალა ვერაფერს მოგვერევა, შიგნით ძლიერნი რომ ვიყოთ. ძირითადი მიზეზი ეს არის სულიერების დაკარგვა ანუ ღმერთთან კავშირის განწყვეტა. არ ვამბობ რელიგიაზე. რელიგია სულ სხვა რამ არის და სულიერება სულ სხვა. ჩვენ არ გავაჩნია ეროვნული იდეოლოგია. ქვეყნის პატრონი არ შეიძლება ერთი კაცი იყოს. პატრონი უნდა იყოს ღმერთი და სახელმწიფოში მასთან მოლაპარაკე ადამიანები უნდა გაჩნდნენ. ჩვენ ამას ქურუმთა ან ბრძენთა საბჭოს ვეძახით. არსებობს ასეთი უნივერსალური კრიტიკული მართვის კანონი. რას ნიშნავს ეს? – მაგალითად, ტყე არ წარმოიშვება თუ იქ, გარკვეული რაოდენობის ხეები არ არის. სიტყვაზე ვამბობ: სანამ ასე ხე არ იქნება, ტყე არ წარმოიშვება. ფუტკრების სკა ვერ შედგება თუ დაახლოებით, 50 ათასი ფუტკარი არ იქნება. ასევე, აკვარიუმში ორი დედლა-მამალი თევზი რომ ჩასვა, ვერ გამრავლდება თუ მათთან მესამეც არ იქნება. ეს გახლავთ კრიტიკული მართვა. გადამგრენი ფრინველების, მაგალითად, წეროების რაოდენობა გარკვე-

პირველად იყო სისჯავა

5 მკ.

ულ ნიშნულს არ მიაღწევს, ისინი, მინაშე დაბლა ეშვებიან. ასე, რომ კრიტიკული მართვის შექმნა შეუძლებელია. არ არის აუცილებელი მთელი საზოგადოება სულიერების ეტალონი გახდეს. საჭიროა რაღაც ადამიანების კრიტიკული რაოდენობა, რომლებიც ამას გაიგებენ, მიხვდებიან, ისწავლიან იმ მეთოდებს რა მეთოდებითაც ღმერთთან ლაპარაკი შეუძლებელია. ილიამ შემთხვევით კი არ თქვა: ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსაო. საერთოდ ასე გახლავთ: ადამიანების კრიტიკული მასა რომ შედგეს ათი ან ათის ჯერადი უნდა იყოს. იმიტომ, რომ სამყაროში ათი ძირითადი სისტემაა და მასზე დამყარებული ადამიანების ჯგუფს წინ ვერაფერი ალუდგება.

ილიამ სალარაძე, პოეტი:

– გავაგრძელებ ბატონი თამაზის მონოდებულ აზრს: რამ შეგვყარა ერთად ეს 10 ადამიანი. უკვე რამდენიმე წელიწადია, ჩვენ ვიკრიბებით, მაგრამ შეკრებილთა რაოდენობა ვერ გასცდა ამ 10 ადამიანს, იმიტომ რომ, მართლა ძნელია იპოვო. დღეს, კაცი ადამიანი, რომელიც გამოგყვება ამ ურთულეს გზაზე. ყველა ფიქრობს: რაზეც ესენი ლაპარაკობენ, ეს როდის იქნება? ამ ამბავს სულ ვადარებ ხოლმე იმ დიასახლისის მდგომარეობას, რომელიც ზაფხულის მერე შემოვიდა სახლში, ყველაფერი მტვრიანი დახვდა და არაფერს არ აკეთებს იმ აზრით, რომ, უიმე, ეს როდის იქნება.

იმის გარეშე, რაზეც აქ ვისაუბრებთ, ჩვენი საზოგადოება გამოსავალს ვერ ხედავს.

ერთ მაგალითს მოვიყვან. ველურს ეკითხებიან: რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება.

ველური პასუხობს: – ძროხას თუ წამართმევენ, ეს იქნება ბოროტება, მე თუ წავართმევ ვინმეს, ეს სიკეთეა.

ხალხო, ამაზე დგას საუბედუროდ, დღეს ჩვენი ცხოვრების ლოგიკა, ჩვენი პოლიტიკოსების ლოგიკა.

რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ჩვენს საზოგადოებაშიც სიკეთის ზუსტად ისეთი გაგება



არსებობს და ის მეთოდი, რომელსაც ჩვენმა ჯგუფმა მიაკვლია, მინდა აქ წარმოგიდგინოთ.

ბატონი კობა არაბული ბრძანებს – ვინ მოდისო? ვინ მოდის და ისევ ისინი, ის ეგოიზმში ჩაფლული ადამიანები, საკუთარ კეთილდღეობასა და პირად საზრუნავს დახარებულნი ადამიანები, რომლებსაც საერთოდ არ აინტერესებს, რას ეწოდება ეროვნული და რა არის ხალხი.

ხან ვამბობდით – ეკონომიკა გადაგვარჩენს ხან – პოლიტიკოსები გვიშველიანო. ვერ გადაგვარჩენს ვერაფერი. ჩვენ უნდა გვისხნას ჩვენმა ურთიერთობამ ღმერთთან. უნდა გვისხნას კანონზომიერებაში დაბრუნებამ. ჩვენი თვისებების საღვთო კანონზომიერებასთან შესაბამისობამ, სოციალური იმ კანონების გადმოტანამ.

თქვენ გსმენიათ ვინმესგან, საკუთარ თავზე რომ ეთქვას – მე ვარ ამპარტავანი! მე ვარ შურიანი! კარგი, საჯაროდ ნუ იტყვი, მაგრამ საკუთარ თავს გაუმხილე. თუ ამას ვერ შეძლებ, არ ხარ საკუთარ თავში მომუშავე და ვინც აღიარებს, ისეთ ადამიანებს სამყაროში აქვთ ძალიან სერიოზული როლი.

არიან ადამიანები, რომლებსაც არ შეუძლიათ სულიერ დონეზე მუშაობა. ასეთ ადამიანებს ჩვენ ვუნდებთ სარკეებს. სულიერ ასპექტში მომუშავე ადამიანი პირდაპირ უყურებს იმას, თუ რა სამინილად მოიქცა ის ადამიანი. აი, აქ ჩნდება სწორედ მტრის ქრისტიანული გააზრება. ის უკვე მტერი აღარ არის, ის მასწავლებელია. მაჩვენებელია იმის, თუ როგორ არ უნდა მოვიქცე მე!

ახლა მოგახსენებთ, როგორია ამ მეთოდის პერსპექტივა.

ვინც უკვე დარწმუნებულია საკუთარ თავში, რომ სრულყოფილია, პირადად მე, ასეთ ადამიანების დავარქვი „უდაბნოს თაობა“.

სამაგიეროდ, მოდის თაობა, ჩემი მოწაფეები, რომლებიც პირდაპირ სიამოვნებით იწყებენ მუშაობას ამ მიმართულებით და მერე მეუბნებიან, რომ, აი, იცით, ქალბატონო ელდინო, მე ჩემი კლასი შევცვალე, ჩემი კურსელები შევცვალე. სწორედ ამ მეთოდის გარეშე, ბატონმა ვახტანგმა რომ ბრძანა თავის თავში, თავის შინაგან სამყაროში საქართველომ უნდა იპოვოს ძალა.

არც ამერიკა, არც პოლიტიკოსები, ან სხვა ვინმე ვერ შეძლებს ჩვენს ამოყვანას კრიზისიდან.

ვინ არიან დღეს საზოგადოების დამმოდღერავეები? – პოლიტიკოსები, დახარებულნი ფულზე, ძვირფასეულობაზე, უამრავი სულიერი უკმარობით, დიდებისმოყვარეობით, პატივმოყვარეობით და როცა იქ ყო-

ველივე ამისგან განწმენდილი მივა, სხვა თვალთ შეხედავს ყველაფერს.

ჩვენ, საზოგადოება „იბერიონმა“, დავინყეთ დაყირავებულ ხეზე მოძრაობა, რომ როგორმე მივსულიყავით იმ ძირებამდე, როცა უდიდესი სივრცე გვეკავა პირენებიდან დაწყებული ინდოეთის ოკეანემდე. როგორ ვიყავით ასე ძლიერი? აი, ამ სიბრძნით, ზემოთ რომ მოგახსენეთ. ეს სიბრძნე გვაქვს დაკარგული საკუთარ სულში.

ამთანადილ არაბული, ენათმეცნიერი, აკადემიკოსი: ბევრი საკითხი დაისვა აქ და ძალიან საინტერესო საკითხები, ამიტომ მსურს გარკვეული მიმართულება მივცე ჩემს ნააზრევს.

მე გავაგრძელებ ბატონი ვახტანგ ხარჩილავას იმ სიტყვები-



დან, რომლითაც მან გამოხატა თანამედროვე საქართველოს მდგომარეობა – ყოფნა-არყოფნის თვალსაზრისით.

ეს განცდა იმდენად ღრმად არის თითოეულ ჩვენგანში, რომ არ გვაძლევს გაბედული ნაბიჯების გადადგმის საშუალებას. სკეპსისი ისე მოედო ჩვენს საზოგადოებას, რომ მან შეაღწია ეკლესიაშიც.

როდესაც ბიუროკრატი ხელისუფალი, რომელსაც აქვს კარგი ხელფასი, პრივილეგიები და იყურება განზე, რაზე მოიგოს იმ ვადებში, რაც მმართველობისთვის აქვს მიცემული, ეს ნიშნავს, რომ მას არ აქვს საკუთარი სახელმწიფოს მომავლის იმედი და ის არის სკეპტიციზმში სწორედ. ის ფიქრობს, რომ საკუთარ თავს უნდა უშველოს და ჩვენი უბედურება სწორედ ის არის, რომ ბიუროკრატი ნებისმიერ სიტუაციაში ფიქრობს – მე აქედან რა მერგებაო და არა იმას, თუ რას მოიგებს ქვეყანა.

მე-18-ს-ისა და მე-19-ს-ის გასაყარზე ითქვა მაქსიმამ: ყოველ ხალხს ჰყავს ის ხელისუფლება, რომელსაც იმსახურებს და წარმოიშვა ეს სწორედ დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით. თუ დაკვირვებისა, ევროპელები ამ მაქსიმას არასდროს არ იყენებენ, რადგან საზოგადოება არ შეიძლება იყოს ერთგვაროვანი. მასში არის კარგიც და ცუდიც, პატიოსანიც და

უპატიოსნოც. იქ სისტემა მუშაობს და ხელისუფლებას ისე ამოქმედებს, რომ ღირსი იყოს იმ საზოგადოების, რომელსაც ხელმძღვანელობს.

ჩვენ კი ვართ თვითგვემაზე გადასული და კი ვამბობთ, რომ, მთავარია, ჩვენ გამოვსწორდეთ და მერე ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ თუ სახელმწიფო სისტემა არ აიგო და არ მიემართა, კონკრეტულად, ქართული სახელმწიფოს ასაშენებლად, რაც მცდელობაც არ უნდა წარვმართოთ, არაფერი გამოვა.

მე დღემდე ინტელიგენტი არ მინახავს, რომელიც არ არის პოლიტიკაზე მოფიქრალი, თუმცა ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ მივიღოთ უკეთესი ხელისუფლება.

გასული საპრეზიდენტო არჩევნები თითქოს უნდა ყოფილიყო გაკეთილი წინა არჩევნებისგან და კმაყოფილი დავრჩით, რომ ვერ გაიმარჯვა ბოროტებამ და ვერ გაიტანეს ის ანტიეროვნული ლიბერალური განზრახვები, რასაც მოუწოდებდნენ საზოგადოებას.

არასდროს მეცადა პოლიტიკოსთვის და ყოველთვის მენანებოდა დრო ამისთვის დასახარჯად, მაგრამ შეფასება ხომ შეგვიძლია – მთავარი შეცდომა 2012 წელს მოსული ხელისუფლების იყო ის, რომ წინა მმართველობა, რომელიც აგებული იყო ერთ ვერტიკალზე, ეს სისტემა არ უნდა დაეტოვებინათ. სამწუხაროდ, სისტემა დარჩა, მან იმუშავა ძველი ხელისუფლების წესებით და მის სასარგებლოდ და აღმოჩნდა კრიზისში.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა უდიდეს კატასტროფას გადაგვარჩინა და მშვიდობიანად მოახდინა იმ დამნაშავე რეჟიმის ლიკვიდაცია. მადლობელი უნდა ყოფილიყო „ნაცმოძრაობაც“ და ალბათ, იყვნენ კიდევაც მადლობელი, მაგრამ დღეს მე მინდა აღვნიშნო: ჩვენი საზოგადოება ბევრად უფრო კეთილშობილი და მაღალზნეობრივი აღმოჩნდა, რადგან, ფაქტობრივად, არავის ვინც ციხეში ჩასვეს, ვისაც ქონება წაართვეს, ვინც გააუპატიურეს, და შეურაცხვეს, არავის არ უთქვამს: დასაჯეთ ისინიო. ჩვენ, საზოგადოებამ, მოვითხოვეთ, რომ შეფასება მისცემოდა იმ მოვლენებს, რაც მოხდა და დასახულიყო ამოცანები შეცდომების აღმოსაფხვრელად, მაგრამ არ მოხდა ასეთი რამ.

დღეს ჩვენი სასკოლო განათლებით ჩამოვრჩებით ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანას.

რას წარმოადგენენ დღევანდელი უმაღლესი სასწავლებლები, რა მივიღეთ მეცნიერებაში, რა მივიღეთ კულტურაში?

მივიღეთ შეფასება იმისა, თუ ვინ დაანგრია განათლება,

კულტურა, მეცნიერება საქართველოში? ის კი არა, ყველამ დავინახეთ, იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ სკოლებში დაბრუნების გამო რა პერიპეტები წარიმართა თვით პარლამენტში და როგორ ღიად ეწინააღმდეგებოდნენ ამას ძველი ხელისუფლებისა და ეს მაკოჰაბიტირებული ძალებიც.

რატომ არ ფასდება ის მოვლენები, რაც ქვეყნის საზიანოდ განვითარდა წლების განმავლობაში?

რატომ ეწინააღმდეგებოდა კვირიკაშვილი ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას. რატომ არ ფასდება ეს და არ ერქმევა ამ მოვლენას თავისი სახელი. თუ ვერ მოვახერხებთ, რომ შეფასება მივცეთ მოვლენებს, მაშინ, ბუნებრივია, ნაბიჯს წინ ვერ გადავდგამთ.

იმ პირისსხლიანი საბჭოთა სისტემის მიერ რეპრესირებული ადამიანების რეაბილიტაცია მოხდა, მაგრამ თანამედროვე ვითარებაში, ინტელიგენციას, რომელსაც უზარმაზარი ტკივილი მიაყენა „ნაცმოძრაობამ“, ვინმეს რეაბილიტაცია მოხდა? ვინმეს მოუხადეს ბოდიში?

მოგეხსენებათ, ყოფილმა განათლების მინისტრმა ალექსანდრე ლომიამ რა დამართა განათლების სისტემას. სტრასბურგის სასამართლომ მიიღო სარჩელი ამ მოვლენებთან დაკავშირებით და როცა დაბრუნდა პასუხი სახელმწიფოში, აქ დაიხურა ეს საქმე და დაიხურა ამ ხელისუფლების პირობებში. რატომ? ამას შეფასება სჭირდება.

ასე რომ, ჩვენ თუ ვემზადებით ხვალინდელი დღისთვის და არა მხოლოდ იმ არჩევნებისთვის, რომელიც კარზეა მომდგარი და თუ ჩვენ შევიკრიბებით, მე გთავაზობთ, რომ ის შეკრება ან დავინყოთ, ან დავამთავროთ ილია ჭავჭავაძის „აწრდილის“ იმ ნაწილის კითხვით, სადაც ის ამბობს: „აგერ ორ-სამ კაცს რაღაც უგრძობიათ, ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან, ერთი საქმისთვის გაუღვიძნიათ და ერთმანეთს კი არ ენდობიან“.

ვლადიმერ ჭანტურიძე, ფიზიკოსი, მეცნიერი: მე მინდა გავაგრძელო პირდაპირ ჩვენი





მეგობრის საუბარი, რომ, აი, მოხდა ის, რაც მოხდა და ასეთ რაიმეს განმეორება აღარ დაუშვიათ. პარლამენტი უნდა იყოს ქმედუნარიანი და არა ისე, როგორც დღეს ვხედავთ. ყველაფერი უკან-უკან წავიდა.

გახსოვთ თუ არა ის კვირიკაშვილი და ქუშიშვილი საიდან გამოჩნდნენ?! ბიძინა ივანიშვილს უთქვამს მერე: მე ესენი მოვიშორე, როგორც არასანდო ადამიანები და როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ვილაცას ისევ შემოუყვანია მმართველობაში.

როგორც ჩანს, იქ არ აღმოჩნდა ის კრიტიკული მასა, როგორც ახლა ვამბობთ და რომელიც იტყობდა: არა, ბატონო, მოვამორთო ესენი. გაჩუმდა ყველა და ისევ მოვიდნენ ეს წურბელები.

იმ კონკრეტული კვირიკაშვილის მოყვანილია ეს პარლამენტი და სიკეთისკენ არც ერთი ნაბიჯი აღარ გადაგვიდგამს.

შეკრულები არიან, როგორც ბანდიტები და მასა მათ უკვე ვეღარ ეწინააღმდეგება.

ბრძენთა საბჭოც რომ შეიქმნას, ეს საბჭოც ვილაც ერთმა, გონიერმა და პატრიოტმა უნდა შექმნას და გააერთიანოს.

თუ ჩვენარი ხალხი არ შევიკრიბებთ და არ გავაერთიანებთ ეროვნული იდეის მატარებელი ხალხი, მაშინ ჩვენი საუბარი დარჩება „ხმაღ მლაღადებისა უდაბნოსა შინა“.

არჩევნებში მონაწილე თითოეულმა პარტიამ უნდა გაასაჯაროოს იმ პირთა სია, რომლებიც არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას მომავალ პარლამენტში მოსახვედრად. დაუშვებელი უნდა იყოს პარლამენტში პარტიის წევრების ძირითადი სიის მიხედვით მოხვედრა. თითოეულმა პარტიამ უნდა წარმოუდგინოს ამომრჩევებს, პარლამენტში მოხვედრის შემთხვევაში, რომელ თანამდებობაზე უპირებს მისი პარტიის წევრის წარდგენას.

კანდიდატის შესახებ სრული წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ამომრჩევებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, როგორც ამბობენ უნდა ავირჩიოთ პიროვნებების პარლამენტი.

გუპაზ მამრალიძე, თეატრ-მცოდნე: დღევანდელი შეკრება თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. მეტყველებს იმაზეც, რომ არის საკმაოდ რთული ვი-

თარება ჩვენ გარშემო. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ, რომ გამოიკვეთოს ერთიანი საზოგადოებრივი აზრი იმ ადამიანებისა, რომლებიც გარკვეულ ამინდს ქმნიან თავიანთ პროფესიებში, პატრიოტული გრძნობები აქვთ და ა.შ.

რა კრიტიკულ ვითარებაზე ვსაუბრობთ?

ქვეყანაში არის ორი ძალა – პოზიცია-ოპოზიცია, რომლებიც დაკავებული არიან ერთმანეთის კრიტიკით ჩასაფრებულ ვითარებაში და საქმე არ კეთდება. არავინ ლაპარაკობს, როგორ უნდა გამოსწორდეს შექმნილი ვითარება, რა უნდა გაკეთდეს ქვეყნის წინსვლისთვის და ა.შ. ეს არავის აინტერესებს. რომ დაუუკვირდეთ, არავინ დაფიქრებულა იმაზე, ვინ არიან თავად ეს პოლიტიკოსები, რა წარმატებები აქვთ მიღწეული თავიანთ პროფესიებში. სინამდვილეში, ორი წიგნი არ აქვთ წაკითხული და არაფერი სასარგებლო არ გა-



უკეთებით საზოგადოებისთვის. მერაბიშვილი, მთელ საქართველოს რომ თავის ჭკუაზე ატრიალებდა პრემიერ-მინისტრობის დროს, აბსოლუტურად გაუნათლებელი იყო. მე მაქვს პრესაში გამოქვეყნებული მისი განცხადება ტექნიკურ უნივერსიტეტში გეოლოგიის ფაკულტეტიდან წამოსვლის. იქ 10 წინადადებაში არის 10 შეცდომა.

ასეთი ხალხის ხელშია დღეს საქართველო და მისი ბედი. ასეთი არაპროფესიონალი ძალიან ბევრია და შესაბამისად, ძალიან ბევრია ენაგატლეკილი, რომლებიც ცარიელი ლაყბობით გადიან ფონს. ამას უყურებს ჩვენი საზოგადოება და ჯერჯერობით ითმენს ამას.

დღეს მოქმედი პოლიტიკოსებიდან, შეიძლება ითქვას, არც

ერთს არ აქვს მკაფიო თვალთახედვა სახელმწიფოს განვითარების მიმართულების და არ გააჩნია არავითარი მეცნიერული კვლევა და ნაშრომი ამ მიმართულებით. ასეთი თითქმის არავინაა არც პოზიციაში, არც ოპოზიციაში.

ბოლო ხანებში შეიქმნა ერთი ამბავი – არჩევნები უნდა ჩატარდეს მაჟორიტარული თუ პროპორციული წესით. „ნაციონალები“ რომ გაჰკვივან, პროპორციული არჩევნების სისტემა საუკეთესოაო, თუ ამ აზრზე იყვნენ, 9 წლის განმავლობაში რატომ არ მიიღეს თავად ეს კანონი.

აქა-იქ გაისმა მსჯელობა პიროვნებათა პარლამენტის შესახებ და შეიძლება ეს კარგიც იყოს, რადგან, როცა ვირჩევთ პროპორციული სიებით, არავინ იცის, ვის ვირჩევთ. ამიტომ პიროვნებათა პარლამენტის არჩევისას, თითოეული კანდიდატი გატარდება პრიზმაში, თავისი წარსულის, მოღვაწეობით, აზროვნებით და ასე განიხილება მისი კანდიდატურა.

აშშ-ის სენატშიც ასეა. თითოეულ კანდიდატს პიროვნულად ირჩევენ. განიხილავენ მის წარსულს და აწმყოს პრესაში, საზოგადოებაში და იყო შემთხვევები, როცა კანდიდატებს თავად მოუხსნიათ საკუთარი კანდიდატურები. იმის გამო, რომ, ვთქვათ, 20 წლის წინ ჰქონდა მას რაღაც ანტიზნეობრივი ჩადენილი.

ამაში რატომ არ ვბაძვთ ამერიკას?

ამერიკა არ არის ჩვენთვის პირდაპირი მაგალითი, ჩვენ ჩვენი ინტერესები და მისწრაფებები გვაქვს, მაგრამ, როცა გამოცდილების გაზიარებაზე საუბარი, ყველაფერია გასათვალისწინებელი.

სამწუხაროა, რომ ჩვენ დღეს არ გვაქვს ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდეოლოგია.

ეს ფუნქცია თავის დროზე უნდა აეღო ეკლესიას, მაგრამ ახლა აქეთკენ წამოვიდა ნიაღვარი, რომ ეკლესიის ავტორიტეტი გააბიაზურონ.

კრიტიკული მასა, რაზეც აქ იყო დღეს საუბარი, ძლიერი და საჭირო ძალაა, მაგრამ ეს ძალა საიდან უნდა წარმოიქმნას?

ის თავისთავად არ ჩნდება. ამიტომ იქნა ინტელიგენციის ძალა თავის დროზე განეიტრალებული, რომ ეს მასა არ შექმნილი-

ყო, დააჩლუნგეს ინტელიგენცია ორი რამით – მატერიალურით და ავტორიტეტის დაკარგვით. ინტელიგენცია, ფაქტობრივად, ჩაანაცვლა არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

ტელევიზიებში, როცა რაიმე საკითხი დგება განსახილველად, მაშინვე აზრს არასამთავრობო ორგანიზაციებს ეკითხებიან.

ჟურნალისტებზე იყო აქ საუბარი და საკითხი ასე დგას – ჟურნალისტები ცდილობენ დაიცვან სხვისი უფლებები და სამწუხაროდ, საკუთარსაც ვერ იცავენ.

2004 წელს მიღებული იქნა კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. ამით არათუ გაძლიერდა, არამედ განეიტრადა ჟურნალისტის პროფესია – ჟურნალისტად შეიძლება თავი წარმოაჩინოს ყველამ, ვინც გაზეთში დაწერს.

ეს იყო გიგა ბოკერიას ინიციატივა და როცა ვუთხარი ამის შესახებ თავის დროზე ჟურნალისტთა კავშირში შეკრებაზე, ასე გვიპასუხა: ჩვენ ვართ დღეს ხელისუფლებაში და როგორც გვინდა, ისე გავაკეთებთ. ვინც შემდეგ მოვა ხელისუფლებაში, როგორც მიიჩნევს, ისე გაასწოროს, მაგრამ არავის არ აინტერესებს, ამ საკითხს მიუბრუნდეს.

რაც შეეხება კანონს ცილისწამების შესახებ. ცილისწამება შეიძლება გამოყენებული იქნას პრესის საწინააღმდეგოდ, მის გასაჩუქებლად.

დღეს აქ დაისვა მწვავე საკითხები, მაგრამ, ვალიაოთ, რამდენი წელია მსგავს თემებზე დისკუსიები ტელევიზიებში არ გამართულა. ტელევიზიები დაკავებული არიან თვალსაყვირით და სანახაობათა ჩვენებით.

რაც შეეხება კულტურას, ბოლო 20 წლის განმავლობაში კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც კულტურასთან არაფერი საერთო არ ჰქონიათ, ეს ვითარება, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება. იმიტომაცაა ქართული კულტურა დღეს უმძიმეს მდგომარეობაში, რომ კულტურის არც ერთ რგოლში არ დგანან პროფესიონალები.

როცა კულტურის სამინისტროში ამდენი თეატრია გაერთიანებული, ერთი პროფესიონალი

თეატრმცოდნე მუშაობს მთელ სამინისტროს სისტემაში. ვინ არიან დანარჩენები, არავინ არ იცის...

ამასწინათ ანზორ ერქომაიშვილი მომიყვა: მივედი კულტურის სამინისტროში ნაციონალების დროსო. მინისტრის თანამშემე მკითხება: ვინ ბრძანდებოთო. ვიფიქრე, ვერ მიცნოო, რა მოხდა, შეიძლება ვერ გიცნოს ადამიანმაო და ვუპასუხე. ანზორი ვარ, ერქომაიშვილიო. რა პროფესიის ბრძანდებითო, – შემეკითხა მინისტრის თანამშემეო. მაშინ ავდექი და დავტოვე იქაურობაო. კულტურის სამინისტროში ხდებოდა ეს ამბავი და ახლა ჩვენ ვთხოვთ კულტურის სამინისტროს კულტურის განვითარების გეგმებს და ა.შ.

ისევ ჟურნალისტებს მივუბრუნდები.

მე ხშირად ვაქვეყნებ პრესაში წერილებს და ერთ მათგანში მოცემული მქონდა, როგორი დამოკიდებულება აქვთ, განსაკუთრებით ტელეჟურნალისტებს ქართული კულტურის მიმართ.

ერთ მუზეუმში გამოფენილი იყო ფილმ „გიორგი სააკაძის“ გადაღებისთვის შექმნილი ტანსაცმელი. ჟურნალისტს მიჰყავს გადაცემა და ამბობს: მუზეუმში გამოფენილია გიორგი სააკაძის კოსტუმებიო. იმ პერიოდში გიორგი სააკაძე მინისტრი იყო და ვისი სახელიც ხშირად ესმოდა ახალგაზრდას, ის გაიმეორა.

მედეა ამირანაშვილს მისი ვარსკვლავის გახსნაზე მირიანაშვილს რომ უძახებს ჟურნალისტი ინტერვიუს აღების დროს, რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ.

არაპროფესიონალიზმმა წავგლეკა ჩვენი.

პოლიტიკიდან კულტურამდე ასეთი ვითარებაა და ამის გამოსწორება ძალიან ძნელია.

კობა არაბული: ორიოდ სიტყვით ჩაგეტყობით.

ერთხელ ჩვენ ვცადავით 100-კაციანი საბჭო გაგვეკეთებინა და ვიფიქრეთ, რომ ეს 100 კაცი შექმნიდა გარკვეულ ძალას. მაშინ ვუთხარი ბატონ ავთანდილ არაბულს, ესომება ალბათ, რომ მოდი-თქო, ვთხოვთ იმ 100 კაცმა თუნდაც 10–10 თანამოაზრე მოიყვანოს-მეთქი.

იგივეს ვიტყვი ახლაც. დღეს

პირველად იყო სისხვა

← 7 33.

აქ შეკრებილმა 10 კაცმა 10 კიდე მოიყვანოს შემდეგ შეკრებაზე და მასხენდება, მაშინდელი 100-კაციანი შეკრება, როცა ცხონეულმა ალექსი ჭინჭარაულმა დაამირეკა და მითხრა: ბევრი ვეძებ, მაგრამ სამ კაცზე მეტი თანამოაზრე ვერ ვიპოვე. ცოტა ხანში ჭაბუა ამირეჯიბიც შემეხმინა და ერთი კაცის მეტი ვერ ვიპოვე, მითხრა არ ვიცი, საკუთარ თავს გულისხმობდა თუ კიდევ ვინმეს სხვას. ვერ მოგროვდა მაშინ ძალა, რომელიც გვჭირდებოდა.

აქ შეკრებილი ადამიანებს მოგმართავთ ახლა: ათის არა და შვიდი ადამიანის მოყვანა თუ შეგიძლიათ თითოეულს, საქართველოს მომავლისთვის?!

ბუბა სოტიშვილი, კინორეჟისორი, საქართველოს კინოაკადემიის პრეზიდენტი: აქ ბევ-



რი ითქვა დღევანდელ ხელისუფლებაზე და უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან კარგი ხელისუფლება გვყავს და 2020-ის არჩევნებში ის პირდაპირ ბეჭეზე დაადგებს ამ ე.წ. ოპოზიციას, კრიმინალურ ხროვას, რომლებიც მოუხებს და მასკარადებს დგამენ უსინდისოდ ყოველ დღე. ყველამ ვნახეთ ამ დღეებში რა სპექტაკლებიც გამართეს მერაბიშვილის გათავისუფლებაზე. ეს იყო სამარცხვინო და იმედი მაქვს, რომ მალე დამთავრდება მაგათი ბოგინი.

პრობლემები უამრავია. არავინ უარყოფს ამას. შესაბამისად, ქართულ კინოშიც უმძიმესი მდგომარეობაა. სულს ლაფავს ქართული კინო – ქართული კულტურის ეს საგანძორი.

არაერთხელ მივმართე ამ საკითხებზე მათ, ვისაც ხელნაწილია ამ პრობლემის მოგვარება, გისმენენ, გეთანხმებიან, მაგრამ შედეგი ნულის ტოლია. კინო არ არის კომერციული დარგი და მას ამ კუთხით სახელმწიფო არ უნდა მიუდგეს. კინო მოგებას ვერ მოიტანს, მაგრამ მოიტანს უფრო მეტს, ვიდრე მატერიალური სარგებელია. მაგალითად, იტალიურ კინოფენომენს იტალიის სახელმწიფოს ბიუჯეტი არ გაუზრდია, მაგრამ ფელინი და ვისკონტი იტალიის ხასიათის სახეა, როგორც ფრანგული კინო ლი-

უკ ბესონის და კლოდ ლელუშის ფილმებით ასახავენ ფრანგულ კულტურას. ეს არის კულტურის პოლიტიკა და ეს უნდა ვიცოდეთ ჩვენ, ეს კარგად უნდა გაიაზროს სახელმწიფომ.

ის თანხები, რაც კინოს განვითარებისთვის გამოიყოფა, არის ზღვაში წვეთი, რომელიც, ფაქტობრივად, ნელ-ნელა, სულის ლაფვით კლავს ქართულ კინოს – არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო ხელოვნების ამ მართლაც საოცარ ფენომენს.

საქართველოში არიან ნიჭიერი რეჟისორები, როგორც საშუალო, ასევე ახალგაზრდა თაობის შემოქმედნი, რომლებიც იმის მაგივრად, რომ ფილმებს ქმნიდნენ, ბანკიდან ბანკში დარბიან ფულის საშოვნელად, რომ ფილმები გადაიღონ.

რეჟისორს კარგი ფილმის გადასაღებად სჭირდება ფული, რომელსაც თუ, ვთქვათ, უცხოეთიდან მოაწვდიან, ამ ფულს თან აუცილებლად მიაყოლებენ დირექტივას, მითითებას, თუ როგორ უნდა იყოს ფილმი და როგორც ვხედავთ, იქმნება კიდევაც მდარე ხარისხის ნამუშევრები საზღვარგარეთიდან გადმოგდებული ფულის შესაბამისად.

დღეს სახელმწიფო როგორც ექცევა ქართულ კინოს, ეს არის დანაშაული ერის წინაშე, ეს არის დამლუპველი ტენდენცია, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების დღემდე მოჰყვება ყველა მმართველობას.

ქართული კინოსადმი ასეთი დამოკიდებულებით არა მხოლოდ კინოს, როგორც დარგს, ვანადგურებთ, არამედ ვსპობთ ქართულ კულტურას და ჩვენს იდენტობას ვუთხრით ძირს.

თურქული სერიალებით გაიცნო მსოფლიომ თურქეთი ისეთი სახით, როგორც მათ მიზანოდეს. ჩვენ თუ ვერ ვხვდებით, რა უნდა გავაკეთოთ, სხვის მაგალითებზე მაინც ვისწავლოთ.

პანტანო ხარჩილაძე: აქ დაისვა საკითხი – მოდით, ჯერ გავარკვიოთ რა სიტუაციაში ვართ დღეს, მაგრამ თუ ჯერ კიდევ ვერ გავგვიგია რა გვჭირს, მაშინ არაფერს აღარ ჰქონია აზრი.

ყველაფერი ნათელია, ბატონებო, და მე, მაგალითად, ვფიქრობ, რომ ეს შეკრება და ყველა სხვა შეკრებები, რომლებიც ამ იდეით გაიმართება და სხვა ადამიანებიც მიიღებენ ამაში მონაწილეობას, უნდა ჰქონდეს ერთი მიზანი: ის, რასაც ვერ ამბობს დღეს საქართველოს ხელისუფლება და ცალკეული პოლიტიკოსები, თქვას ამ საზოგადოებამ – 10 კაცი იქნება ის თუ 100.

ჩვენთვის შეურაცხმყოფელია ის, რაც დღეს ხდება. შეურაცხმყოფელია ის, რომ ხან ერთი კონგრესმენი, ხან – ევროპარლამენტარი, ხან – ვიღაც სხვა გვეუბნება: 9 წლის განმავლო-

ბაში რომ ფაშისტურ-კრიმინალური ბანდა გაჯდათ თავზე, ეს დაივიწყეთ და ახლა ადექით და მიიღეთ ისეთი საარჩევნო სისტემა, რომ კრიმინალური რეჟიმის წარმომადგენლები არ დარჩნენ პარლამენტს გარეთო.

ეს არ არის ის საკითხი, რის გამოც შევიკრიბეთ დღეს ჩვენ აქ?

ერის შეურაცხყოფაა ეს და ერის ნაწილი ვართ ჩვენც.

იყო დრო, როცა იყო ერთი ცენტრი, რომელსაც ერქვა მოსკოვი. ვიღებდით იქედან დირექტივებს, ბრძანებებს. ახლა ეს მოსკოვი არის ყველგან, ჩვენი ხელისუფალნი ხან ბრიუსელში დარბიან, ხან – ვაშინგტონში, ხან – ჟენევაში.

ლელთ ლუწიანო თქვა: თქვენი თავი თქვენადვე გეყუდნოდეთო. ამდენ სირბილში ეს თავი დაგვარგეთ და ვართ ახლა უთავო მხედრებივით.

პატივსაცემი კონგრესი თუ ევროპარლამენტი, როცა გეუბნება, დემოკრატია უნდა გადავარჩინოთ საქართველოში და ამიტომ უნდა შეიყვაროთ ბოკერიაო, ამას რომ ერს გაუბედავენ, დამთავრებულია მაშინ ყველაფერი.

ეს არ არის მხოლოდ ხელი-სუფლების ბრალი. ჩვენი ბრალიცაა ეს.

ხელისუფლება რა შუაშია, როცა 800 000 ქართველი ვაშაძეს აძლევს ხმას და 400 000 კაცი სააკაშვილს დასდევს: მიშა-მიშას ძახილი თ.

კოჰაბიტაციის დამთავრება შეეძლო საზოგადოებას. საზოგადოების ნაწილს კი დღესაც იმის მოთხოვნა აქვს, რომ დაბრუნდეს უკან, იმ უბედურებაში.

„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში ინტერვიუ დაგებქდეთ ნომადი ბართაიასთან. ბატონი ნომადი ბრძანებს, რომ, თურმე, ირანის სახელმწიფო პოლიტიკა აგებული ყოფილა ენის დაცვაზე და ქვეყნის სტრატეგიული პრიორიტეტი ყოფილა სპარსული ენის დაცვა. ირანი მიიჩნევს თურმე, რომ მისი ქვეყნის ძლიერება ნავთობზე კი არა, მის კულტურაზე დგას.

საქართველოს სახელმწიფოებრიობა რას უნდა ეყრდნობოდეს, ესეც კი არ გამოკვეთილა ჯერ. არ არსებობს სახელმწიფოებრივი კონცეფცია. იდეოლოგია არ სჭირდება სახელმწიფოსო, – განაცხადებს ვიღაც-ვიღაცეებმა. სხვათა შორის, ესეც იდეოლოგიაა, როცა ამბობენ, რომ არ გვჭირდება იდეოლოგია.

ძნელი და რთული კი არა, შეიძლება უტოპიურიცაა, რაზეც ვფიქრობთ და ვმსჯელობთ დღეს „განწირულის სულისკვეთებასავით“, მაგრამ ვცადოთ ერთხელ კიდევ.

ირანდა კალანდაძე, თამარ შველიძე

პანტანო ხარჩილაძე

მნეკალთა ბალი. ბიბლიოთეკა

ლაურა დათიაშვილს

ზამთარ-ზაფხულ ბალის პირს, ზიხარ, როგორც ნიბლია. ამ ბალს სხვა ანდამატი, სხვანაირი ხიბლი აქვს, სხვანაირი დილა, სხვანაირი ბინდია. ბინადრები ბალისა მოდიან და მიდიან.

ბალი თითქოს ყურეა, მშვიდი, მყუდრო სახლია. სინყნარეა გარშემო, უშფოთველი, აზიზი, მოვლენ შორი გზებით და ქარიშხლებით დაღლილნი, იქვე შენ ხარ, კეთილი, წყნარი დიასახლისი.

ერთად უყვართ აქ მოსვლა ჩიტებსა და პოეტებს, აქ სხვაგვარი წვიმაა, თოვლიც უფრო თეთრია, ჩიტებსა და პოეტებს, ერთად ხედავ ყოველდღე, – ჩიტებსა და პოეტებს ერთნაირი ბედი აქვთ.

მზე გადადის თანდათან, მიიხრება დასავლით, ბალს სტოვებენ ნელ-ნელა, ფხიზელნიც და ნასვამნიც, შენ კი ზიხარ მოწყენით, ხელში ლექსთა კრებულთ, და იმათ გზას გასცქერი, მონყალეების დასავით.

ამ უმწეო, დიდ ბავშვებს, დაქანცულთა, დალილთა, რითი ანუგეშებ და რითი უნდა უშველო?! შენ რომ სხვაგან ნახვიდე, შენ რომ სხვაგან ნახვიდე, ამ ბალმა და ჩიტებმა, როგორ გაძლონ უშენოდ.

სტოვებს ბოლო მზის სხივიც, ხეებს, ქარით გაკორტნილს, შინ მიდიან, რა მიაქვთ მშობლიური სახლისთვის. შენ კი რჩები მარტოკა, შენ კი რჩები მარტოკა, უკაცრიელ, მდუმარე, ბალის დიასახლისი.

გაზეთების კითხვაში, ერთმანეთზე ჭორებში, ერთმანეთის კილვაში, მოელიან ჰონორარს, ოლონდ ცოტა ეშველოთ, ოლონდ გულზე მოეშვათ ნახვალ, სისხლსაც გაიღებ, დაუდგები დონორად.

ზოგი ნალდი ოქროთი, ზოგი ყალბი ბონებით, მოდიან და თვითონვე, თავის ნაღვანს აქებენ, ერთხმად აქილიკებენ,

სახელგანთქმულ კოლეგებს: — ახლა ნალდი მწერლობის ვინლა არის გამგები?

სახელიც და დიდებაც, ერთნაირად სჭირდება, ნიჭიერს და უნიჭოს, უნიჭოს და ნიჭიერს, უკდავებას ელიან, ელიან და ითმენენ, ყველა კარგი ხალხია, ყველა კარგი ბიჭია.

ოლონდ რა ქნან, საზრუნავს, ათას წერილმანს ცხოვრების როგორ შეებრძოლები, ურჩ ბედს როგორ გახედნი?! შინ ფერმკრთალი ბავშვები, და კაპასი ცოლები... იცდის შემოსალობი ბალჩა-ბალის ნაკვეთი...

— „ყოფილიყო დურგალი, ხარატი, ან ქვიტხურო“ — ფიქრობ მაგან პოეტზე, გულმოკლული დადიხარ, ისე შეგეცოდება, რომ იმ ლექსებს კითხულობ, ვისაც არავინ კითხულობს, ვისაც არავინ აკითხავს.

წიგნს გადაშლი... თითქოსდა, გალიიდან ჩიტები, გამოფრინდნენ ყვივით, ბედნიერი ლექსები, ალერსს დანატრებულნი, ისე წაგესევიან, თითქოს ხორბლის მარცვლებით, სავსე გქონდეს პეშვები.

ახალი დღე იწყება, მზე ამოდის, უხალისოდ იღვიძებს, ბალი ლამენათევი, ძველ ნაცნობებს მოელის, მოწყენილი კედარი, ნეკერჩხალი ანთია, ვით საყდარში სანთელი.


დღესაც მოვლენ სტუმრები, შფოთიანი ლამიდან, მოაქვთ როგორც ნადავლი, ხელნაწერთა დასტები; ზოგსაც არ გაუმართლა, ზის და მზერას გარიდებს, და ბალის პირს კარგა ხანს, ასე უბრად დასხდებით.

შენ, ამათი წიგნების, შენ, ამათი ლექსების, შენ, ამათი სულის და ოცნებების საცავი გაბარია, დადიხარ მტვერგადაყრილ წიგნებში გახუნებულ წიგნებში, მონყალეების დასავით.



ღარი აღიარება

ბჰაბჰაუდ-გიტა



ამ ოციოდე წლის წინ ერთი პიროვნება მენვია, თხოვნით: „ბჰაგავად-გიტა“ მეთარგმნა ლექსად, ანუ მეტრიკითა და რითმით. ჯერ ვიუარე, – არის თამაზ ჩხენკელისეული ჩინებული თარგმანი, სხვა რაღა საჭიროა, თანაც, დრო არ მაქვს, რომანზე ვმუშაობ-მეთქი. – არა, ჩვენ ლექსად გვინდა, ისე, როგორც ორიგინალშია, თქვენ „დაო დე ძინის“, „უპანიშადების“ მთარგმნელი ხართ, ამასაც, გვჯერა, თავს გაართმევთო. თხოვნა იმდენად დაჟინებული იყო, მეც გულისხმაში ჩავვარდი.

და შევუდექი ფრიად სამძიმო საქმეს. მე და დამკვეთი ხშირად ვხვდებოდით, ვდაობდით, ვერ ვთანხმდებოდით. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში გაცნობიერებული იყო, სამწუხაროდ, იმას სხვაგვარად ესმოდა თარგმანის პრინციპები, მე – სხვაგვარად. და ბოლოს, როგორც იტყვიან, ავეშაღენით ერთიმეორეს. და ეს საღმრთო საქმეც შეწყდა. დამრჩა თარგმნილი

პირველი თავი სრულად და მეორე თავის ოცდარვა ლექსი.

ამას წინათ კიდევ ერთხელ გადავხედე თარგმანს, ზოგიერთი რამ ხელმეორედ გავმართე, დავაზუსტე და გადავწყვიტე მისი გამოქვეყნება.

მე ვთხოვ მკითხველს, მიიღოს ეს ნაწილი, როგორც კიდევ ერთი მოკრძალებული ცდა ამ საკაცობრიო, ურთულესი თხზულების ლექსად გადმოქართულებისა.

ჭ.შ. ქართულ თარგმანს საფუძვლად დაედო მისი ღვთაებრივი მოწყალების ა.ჩ. ბჰაგავად-გიტა სვამი პრაბჰუ-პადას პნკარედული და პროზაული რუსული თარგმანი, მისივე ვრცელი კომენტარებით. (Москва-Ленинград-Калькута-Бомбей-Нью-Дели, 1990 г.)

მთარგმნელისაგან

თავი პირველი
კურუქშეტრას ბრძოლის ველზე
ბანყოზილ ლაშქართა დახედვა.

1
დჰრიტარაშტრამ თქვა:
„სანმიდარ ველზე, კურუქშეტრაზე,
სად ლაშქრად მდგარი ეტლ-ჯარები,
რა ჰქმნეს, მითხარი, ჩემმა ვაჟებმა
და პანდუს ძეთა, ო, სანჯაია?!“
2
სანჯაიამ თქვა:
„რაჟამს მეფემან დუროდჰანამ
პანდუს ძეთ ლაშქრის გახედა წყობას,
ხელნი აღაპყრო, ო, ხელმწიფეო,
და მიეახლა საყვარელ მოძღვარს:
3
„ჰოი, მოძღვარო, ქველო, გახედე
პანდუს შვილების უძლეე ლაშქარსა,
რა ფრიად მწყობრად აღუკაზმია
შენს ერთგულ შეგირდს, დრუპადას ვაჟსა.
4
ლაშქრად მრავალი მოისარია,
თავად არჯუნას და ბჰიმას დარი:
იუდჰანაა, მძლე ვირატაა,
დრუპადას მგვანი გმირი და მამრი.
5
დჰრიშტაკეტუა, ჩეკიტანაა,
პურუჯიტი მძლე, ვითა ხარი,
კუნტიბჰოჯაა, კაშირაჯაა,
შაიბიაა, დევგმირთა გვარის.
6
ეტლზე აღმჯდარნი ლომებრ იბრძვიან,
ო, დრაუპადას მამაცი ძენი.
მძლე უდჰმანიუს, უტამაუჯას
არ ედრიკებათ ეტლი და ხელი.
7
ახლა კი გამცნობ, დიდო ბრაჰმანო,
რაჟამს დრო დადგა ომის, მძლავრობის,
ბრძოლად აღძრული ჩვენი ჯარების
ვინ არი ღირსი მხედარმთავრობის.
8
ერთი თავად შენ. ბჰიმაც და კარნაც,
მამაცი კრპაა, ქორებრ მხედველი,
აშვატთჰამაა, ფიცხი ვიკარნა,
სომადატის ძე, მტერთა მლენველი.
9
კიდევ ბევრია გმირი ერთგული,
ჩემთვის სიკვდილი რომ უჩანს არად,
ბრძოლანაცადი და აკაზმული
სახელოვანი რაინდის დარად.
10
დიდია ჩვენი ჯართა ძალები,

რაკილა ბჰიმამ გენინამძღვრობს თავად,
ფრიად მცირეა ძალა პანდავთა,
რასაცა ბჰიმამ მოუძღვის ფარად.
11
მოვიდა ჟამი განლაგდეთ მწყობრად,
უფართო ფარი ბაბუა ბჰიმას,
დაძრათ ლაშქარი, არ დაგიმონოთ
დედაკაცურმა ზაფრამ და შიშმა!“
12
მაშინ ჩაჰბერა თავის ნიჟარას
კურუს მთავარმა მამაცმა ბჰიმამ,
დუროდჰანას გული აღანთო
ლომის ღრიალის მაგვარმა გრგვინვამ.
13
ერთხმად იქუხა რქამ და ნიჟარამ,
ბუკმა, საყვირმა, მცირე ბობლანმა,
ატყდა ხმაური უსასტიკესი,
გადმოიღვარა ღვარძლი და ბოღმა.
14
და ჰა, ველს იქით კრიშნამ, არჯუნამ,
თეთრი რაშებით შებმულ ეტლებში,
დაჰკრეს ნიჟარებს მიღმაქვეყნიურს,
ხმა დააქუხეს ცათა ზესკენელში.
15
პანჩაჯანიას დაჰკრა ნიჟარას
არსთაგანმრიგემ, უფალმა კრიშნამ,
დევადატას ჰკრა არჯუნამ ქველმა,
ბჰიმამ-პაუნდრას, საზარს, მტრის რისხვას.
16
კუნტის ძემ, მეფემ იუდჰიშთჰირამ,
ანანტავიჯას დაჰკრა ნიჟარას,
საჰადევამ და ფიცხმა ნაკულამ –
სუგჰომასა და მანიპუშპაკას.
17
მძლემან შიქჰანდიმ, კაშის ხელმწიფემ,
დჰრიშლადიუმნამ დიდმოისარმა,
ვირატამ გმირმა, დიდმა დრუპადამ
და სატიაკიმ მძლეთუძლეველმა.
18
დრაუპადას ძეთ, მრავალმან სხვამან,
ო, ხელმწიფეო, სუბჰადრას ძემაც,
თავის ნიჟარას ჩაჰბერა ყველამ,
პანდავთა ჯარი მოიცვა ლხენამ.
19
შეაზანზარა ცა და ხმელეთი,
ღმრთის ნიჟარების ზარმა და ზათქმა
და დჰრიტარაშტრას ძეთა გულები
შიშის და ზაფრის მორევმა დანთქა.
20
და ჰა, არჯუნამ გამართა მშვილდი,
დროშა შეენოდა ეტლს ჰანუმანის
და დჰრიტარაშტრას ძეთა მხილველმან,
კრძალვით გაუბა ღმერთს საუბარი:

21-22
არჯუნამ თქვა:
„ო, შეუმცდარო, გთხოვ, ეტლი ჩემი
შეაგრილო ორ ლაშქარს შორის,
რათა ვიხილო ბრძოლაუძღებნი,
ვისთან მომინევს შებმა და ომი.
23
მინდა ვიხილო, უფალო ჩემო,
ვინ ესწრაფება ომსა და ლალატს,
დჰრიტარაშტრას ძეთ უკეთურ ზრახვებს
ვინ თანაუგრძნობს, ვინ ლესავს დანას!“
24
სანჯაიამ თქვა:
„ბჰარატას დიდო შთამომავალო,
რაჟამს ისმინა არჯუნას სიტყვა,
ორ ლაშქარს შუა შეაგრილა
მზისდარი ეტლი უფალმა კრიშნამ.
25
ბჰიმას და დრონას და სხვა მეფეთა
წინარე წარსთქვა უფალმან: „პართჰა,
აჰა, იხილე ბრძოლად აღძრულნი,
ყოველი კურუ აქაა ახლა!“
26
და რა იხილა სახე პაპათა,
არჯუნამ, შორის ორთავ ლაშქართა,
სახე ბიძათა, სახე მოძღვართა,
სახე ძეთა და ძვირფას მამათა,
27
სახე თვისტომთა, კეთილმყოფელთა,
შვილიშვილთა და უახლოესთა,
ღრმა თანაღმობით აღევსო გული
და მწუხარების სიტყვა აღმოხდა;
28
არჯუნამ თქვა:
„მე რაჟამს ვხედავ, დიადო კრიშნა,
ლაშქრობის ვნებით აღმდგარსა ძმებსა,
გულდაზაფრული ველარ ვიმაგრებ
აცახცახებულ ფეხსა და მხრებსა.
29
მუხლებში ძალა მეღვევა, ღმერთო,
ტანსა და კანზეც მეღვრება გზნება,
თმა ყალყზე დგება და ჩემი მშვილდიც –
განდივა, ხელთით მეცლება, ვხედავ.
30
მერღვევა ხორცი, გონიც მემღვრევა,
ო, კრიშნა, დემონ კემის დამმხოზო,
მე აღარ ძალმიძს თავისა პყრობა,
ვუჭვრეტ ავბედით დასასრულს მხოლოდ.
31
რას ვაქნევ ლხენას, თუკი მოყვასთა
სისხლით შევღებავ, ღმერთო, მარჯვენას,
რა თავში ვიხლი დიდხელმწიფებას,
ბედნიერებას და გამარჯვებას.“

ინჩი პასახა



ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ, სარგებლის გარდა, ადამიანებს თავსატეხიც უხვად მიაბერტყა; ბუნებრივი კატაკლიზმებით ისედაც შერყეული სიმშვიდე საბოლოოდ დაუშრიტა; მათ გონებაზე ტოტალური შეტევა მიმდინარეობს; მზაკურის უჩინარი ხელი სულშიც შემოძვრა და დაუნდობლად ფათურობს.

ნებისმიერი წყაროდან ისეთი ინფორმაცია იღვრება, თითქოს ყველგან შფოთია, საავდროდ შეყრილან ღრუბლები, წუხან შინაც და გარეთ, დაპირისპირება ბორგავს, სიყვარულისგან იცლება მოყვასი, არსაიდან ისმის ნუგემის ხმა, მოძმის ძახილი უკეთეს ვერაფერს გპირდება. საამურ სიტყვას ვერ გაიგონებ...

ტელევიზიებმა დამოუკიდებლობა, დემოკრატია, ცუდად გაიგეს.

სიძულვილი, ორპირობა, სიცრუე, უნიჭობა აი, „მთავარის“ მთავარი თემა.

ადრე „რუსთავი-2“-ის თავამცეხულობა ეროვნულ უსაფრთხოებას უთხრიდა სამარეს, ძირმაგარი და სააუკუნოობით ნალოლიავები ფასეულებათა გადაშენებას, იდენტობის მოსპობას, ცნობიერების გამოცხვას, უკულმართი ორიენტაციის დამკვიდრებას ემსახურებოდა ერთგულად. არც მისი ახალი სახეცვლილებაა ჯანსაღ ძირზე აყლორტებული. „მთავარში“ კი სულგაყიდული ჟურნალისტი გამველე-გამომვლელს კვლავ ჩრის პირში მიკროფონს, სიტყვის თქმას არ აცლის, ქვეყნის დასასრულს, წარღვას, გადაშენებას წინანარმეტყველებს. არაკაცებისგან ძერწავენ გმირებს, დამნაშავეებს ციხის ზღურბლამდის ცრემლით მიაცილებენ...

საავტორო გადაცემის ნამყვანებს მართლა თავისი ჰგონიათ ეთერი. ისინი პირდაპირ შეტევაზე გადმოდიან, ჭორიკანობენ. ერთი და იგივე სახეები, მკვეთრად დაპირისპირებული პირები, იდენტური თემები, უაზრო კითხვები – პასუხს აღარ დაგაცდიან, მით უფრო, თუ სასურველი პოზიცია ვერ დაგდალეს. არავითარი შეპასუხება, პროტესტი დაუშვებელია..

ასეა TV პირველიც – სიმყრალის ქოთქოთის ახალი ცენტრი. ჯერ შხამიან ანონსებს მოგაყრიან და მერე მოგესალმებიან, მშვიდობას გისურვებენ. ერთი ხმაურიანი „მეტრის“ მიბაძვით, მისალმების ეს ფორმა ორიგინალობის ნიმუშად დამკვიდრდა.

ლამის ეთერსა თუ დილის ტელევიზორცეში, განსაკუთრებით

რამდენიც არ უნდა იყრანტალთ, ყვავ-ყორნაბო, გზა მიინს ისე აპოპა, როგორც აპოლიოდა და საქართველოს აუხილაბლად გაბრწყინდა

კი სოციალურ ქსელში, გაბოროტებული, ცხოვრებაზე ხელალებული, განდგომილი ქდაგის ბუტბუტით გაისმის ერთსახა, უმისამართო და უსაგნო, გულსაკლავი გოდება: იქცევა ქვეყანა, ვიდეოპეებით, ანტიქრისტე მოდის, მეტეორი დაეცემა დედამინას...

„სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება“ ყოველგვარ ზღვარს გასცდა.

ყველა კუთხიდან, მრავალსახა და უპირო მედროვე პარლამენტის შენობის წინ იყრიდა თავს. ადმინისტრაციულ ცენტრში აგორებული ვითარების ხელოვნურად დაძაბვის კორინტელი რეგონებისკენ მიექანება. ბევრი ჩასაფრებული უნიჭოდ ასრულებს უსახელო

ლება დაანახონ; ავრცელებენ ჭორებს, დაულალავად ენევიან ყალბი ინფორმაციის ექსპორტს; ოკეანის გაღმა კონგრესსა თუ სენატში ხარკს უხდიან მფარველს და მოკავშირეს, იქ ეძებენ სამართალს – ასეთია დამოუკიდებლობის მათმიერი ახალი მოდელი.

დაუსრულებელი ხმაურის ორგანიზატორებს სინგაპურის მოსწონთ, ჰონ-კონგის და დუბაის ცათამჯენები იზიდავთ, მაგრამ ის კი არა უწყინან, რომ ამ აყვავებული ადმინისტრაციული ცენტრების ეკონომიკა უმკაცრესი რეჟიმის, უღმობელი კანონების და მათი განუხრელი მორჩილების პირობებში აღზვედა; არა დაპირისპირების და თავამ-

ბის არსიც დავამახინჯეთ. პირველი ლეგტიმური ხელისუფლება ტყვეით დავამხეთ. ეს დანაშაული „პუტჩისტებს“ შერჩათ და მას აქეთ მუდმივად ვიმკით ხელისუფლების ძალადობრივად შეცვლის მცდელობებს.

ყველა ძალა ცდილობს არჩევანის წესების შესაძლებლობებს და განვითარების სიმაღლეს დაეზომოს. ამადაც მიდის დაუსრულებელი ჭიდილი მის გადასინჯვაზე. ამ ერთი მუჭა მოძალადეთა განაცხადი მხოლოდ იმის დემონსტრირებაა, რომ ახლა მათ უნდათ მუცლის ამოყორვა. სხვა მალალი ფასეულობები კი მათ უკან არც ილანდება.

ყველა განანყენებული, ქესეტა, მშიერი, დაუსაქმებელი ოპოზიციონერებსა ირგებს, ხელისუფლებას ლანძღავს, ივანიშვილს აგინებს – ამაზე მეტი გამოთავყანება გაგონილა?! ამათ როგორ უნდა ჰქონდეთ მხარდაჭერა, 800,0 ათასამდე თანამოაზრე ქართველი რანაირად უნდა ჰყავდეთ?

ამ ხელისუფლებას გაკეთებული ნარმოჩენის უნარი არ მოჰმადლა ზეციერმა, თორემ ხომ ფაქტია, ხალხი უკეთესად ცხოვრობს, საშოვარიც მეტი გაუჩნდა; ამდენი მშენებლობა და ინფრასტრუქტურული პროექტი დამოუკიდებელ საქართველოს არასდროს ჰქონია; ამდენი ქველმოქმედება არასდროს მიუღია ჩვენს ხალხს და ქვეყანას,



რეჟისორის მიერ ჩამორიგებულ „პროვოკატორის“ როლს; გარედან შემოტანილი არაბუნებრივი დაძაბულობა საავდრო ღრუბელივით ბურავს ქალაქს და მის შემოგარენს.

რა ხდება ჩვენს თავს, რა ზნე გჭირს?!

„რა გიყოთ და რას დავამსგავსათ მამაძალღმა აბელა სეთურმა და მოსასპობმა თაბაგარმა... არ ფიქრობთ??“

უცხოურის ნიბოთი აცუნდრუკებულმა, ნეტარცხოვრებას დახარბებულმა და ჯიგარამოცლილმა ჯგუფურმა ბრბომ სხვა ბევრიც ჩაითრია, მათსავით ადვილად სამართავი, შლეგი და აბდალი. მათ გაერთიანებას ახლა პარტიას ეძახიან. ამ „ბირჟამ“ არ იცის რა არის დემოკრატია, თავისუფლება, დამოუკიდებლობა, ბაზარი, სოციალური თანასწორობა... არც პარტია იცის რა ხილია, რა განსხვავებაა მათ შორის (თორემ რა უნდა ამდენ პარტიას და მოძრაობას ერთი პეშვის ოდენა ხალხში).

ამ ბრბოს თავისი ბელადები ჰყავთ, შემთხვევით აღზევებული და ახლა უსაქმოდ დარჩენილები. მათ შორის ისეთებიც დალაყუნებენ, დღეს რომ რიგითი გალლეტილები არიან, მაგრამ მესვეურობა უნდა. ისინი ყველაზე ხმამაღლა ჰყვირიან, ყველაფერზე მიდიან, ყველაფერს გადააბიჯებენ, ოლონდ გამოჩინდნენ და წინამძღოლს ერთგუ-



ვებულების, არამედ მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად, მომავლის წინაშე პასუხისმგებლობის განცდით შეიქმნა. ყოველგვარი ხელშეშლა მკაცრად ისჯებოდა. სინგაპურის პრემიერ-მინისტრის ლი ხუან იუს მიერ დამნაშავეთა მიმართ შემოღებული დასჯის მეთოდები ახლაც მოქმედებს.

შორს რომ არ წავიდეთ, ასე იყო ეს მეფე დავითის, თამარის ეპოქებშიც.

მმართველი გუნდის ძაგება, ხელშეშლა, ყველა ხერხით და მეთოდით ხელისუფლებაში მოსვლისთვის სახელმწიფო ინსტიტუტების მტურში, ყაყანი და ყიყინი, ორგანიზატორთა დაუსჯელობა ნორმად იქცა. სამწუხაროდ, ჩვენ არჩევენ-

როგორც ამ ბოლო რვა წელიწადში განხორციელდა; ამდენი თავისუფლება არასდროს ღირსებია ბიზნესს, სიტყვას, პერიოდიკებს და საეთერო სივრცეს; ამდენი დემოკრატია არასდროს ყოფილა როგორც ახლანა, თუმცა ამდენი ბრმა, ყრუ, უმადური და ოტროველაც არასდროს გვყოლია!

პოლიტიკოსებისა და „პოლიტიკანების“ ქიშპობამ დააქცია ქვეყანა.

არაფრისაგან, ქარი კი არა, დამანგრეველი ქარბორბალა ატეხილი ჭიქამი...

თქვით მაინც, რა არ მოგნონთ, ან რა უნდა ვაკეთოთ? გამსახურდია არ გინდოდათ, ივანიშვილს აგინებთ, ეკლესიას

ებრძვით, პატრიარქი ჯოჯოხეთის მოციქულად შერაცხეთ, უკულმართებს და ლგბტ თახსირებს ეგლასუნებით, ისტორია შებილნეთ, „წმინდა გიორგის მადლით შემოსილ მხედარს“ ნატურულობით და ჯაგლავ როსინანტზე ამხედრებული დონ კიხოტიც კი არა და არ ჩანს თქვენს მიერ „მონიშნულ“ ჰორიზონტზე.

არ დაგრჩათ რაიმე „სხვა საფიცარი?“ არ გაქეთ სხვა საფიქრალი? დაგელიათ აქტუალური თემები?

მისწერეთ წერილი შეყვარებულს; შეუთვალეთ მოკითხვა აფხაზ მეგობარს; სამაჩაბლოში სადღეგრძელოს თქმისას დანაპირები გაიხსენეთ; მოჰყევით გმირთა ნამოქმედარი; დანერეთ მოხუც მამაზე, აფხაზი რომ შეიფარა და იხსნა თოფმემართული თანამესაგრისგან, ან ის აღნერეთ, როგორ გამოარადა შენი პირმშო ოსმა, ვნებააშლილ ხვადებს; გაუნელეთ დამწუხრებულს სევდა; ბრმას აუხილეთ თვალეები, ცის ლაფვარდები დაანახეთ; ყრმას ქვეყანა შეაყვარეთ; უნამლეთ ვაზს და ღვინო ჩამოყურეთ ფიალაში სიყვარულის სადღეგრძელოს სათქმელად. ამდენ ყაყანს, უსაქმურობას, ნგრევას ხომ ჯობია?! მაგრამ საუბედუროდ, ყველაფრის თავი ისაა, რომ

ნავგლეკა ქვებუნობამ, უსიყვარულობამ და უცოდინრობამ. ქვეყანა ხელმოცარული „პოლიტიკანების“ სათარემოდ, პოლიტიკა კი ბიზნესად გადააქციეთ – ეს პრობლემა წამდვილად არის თანამედროვე მსოფლიოს სანუხარი და ვერც ჩვენ ვიქნებით გამონაკლისი. უფრო დიდი უბედურება არამყარი ცოდნა და, აქედან მომდინარე, თავდაჯერებულებაა. ხელმოცარულები ხმამაღლა კამათობენ, ქვებს ისვრიან; უთანხმოება შინაც აღწევს, კედლებს ბზარავს.

ვიცი, ამ ჩემს გულისტკივილს მიახლით უაზრო კომენტარებს და ჩლიქებით შემდეგები თ. თქვენ ზნეს მაინც ვერ შეიცვლით, კვლავაც ასე გაგრძელდება, მაგრამ მაინც მინდა გაგაფრთხილოთ პოლიტიკანებო: ეს ქვეყანა მარტო თქვენი არ არის, ჩვენიცაა. თქვენ რომ ხელისუფლებაში მოსვლას აპირებთ, მეკითხებით, მე მინდა კი თქვენი პარპაში და თარემი? ვინ მოგცათ თქვენ ხალხის სახელით ლაპარაკის, ნგრევის, ჩემი არჩევანის დამხობის უფლება? ხალხს ელაპარაკეთ, ხალხი დაარწმუნეთ და ხმა მოიპოვეთ. მანამდე კი დაეტიეთ თქვენს ბუნავში და არჩევნებს დაელოდეთ!

იური პასახა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ მთავარი რედაქტორი. 574 34 64 27



ნოზალი ზაქოია

ლექსები

* * *

სულ სხვა განცდა დამეუფლა, ტყვე შევიქენ სულ სხვა განცდის, იანეთს რომ მივუახლოვდი, სამტრედიას როცა გავცდი. თითქოს რაღაც გული მწყდება, და რაღაცას ვხვდები გვიან, რახანია, მატარებლით აქეთ რომ არ მიმგზავრია. თან ყველაზე უმთავრესი რაიც ახლა უნდა მეთქვა - მთელი ღამე თბილისიდან სავსე მთვარე მაცილებდა.

* * *

საგარეუბნო მატარებლო, ვერ წარმოიდგენ, მიყვარხარ როგორ. მე ვენაცვალე, ვინც მოგიგონა, მე ვენაცვალე მართლა შენს მომგონს. არ გამოტოვებ შენ არცერთ სადგურს, ყველას დააცდი ვაგონზე ასვლას, საოცარია, ჩამოსულს შენგან ცოტა ხანს არსად მიხდება წასვლა.

ადგილობრივი მნიშვნელობის აბარაკი ლეპარდე

როგორ მიყვარდა მე ეს სიტყვები, თანაც ნამდერი გულით ალალით, ჟრუანტელივით დავლილი ტანში: „შენ ჩემი მზე ხარ ამომავალი“. და არანაკლებ მახვევდა თავბრუს ანდა რა არის აქ დასამალი, მისი მომდევნი ტაეუბი ერთი: „მე გული მტკივა, მომე წამალი“. გვარი არ მახსოვს, კინწურა ერქვა, უკრავდა როგორ, მღეროდა როგორ, მახსოვს, რომ ნაგვაზაოდან იყო, აკორდეონის ვლოცავდი მომგონს.

ნუშები რიკოთს გზაზე

გმოპარულებს ჰგავდნენ სახლიდან, ცნობისმოყვარე ეგზოთ თვალებით, რიკოთის გზაზე, ჩუმათელეთთან, ნუშები არასრულწლოვანები.

* * *

როცა ბაზარში ვყიდულობ რამეს, ვკითხულობ, სადაურია-მთქი? არაფრია იმაზე ტკბილი, ვილაცა მაშინ პასუხს რომ მეტყვის. მეღვრება მაშინ მე სითბო გულში და მე იმ სითბოს ვატარებ დიდხანს, მარტო რაიონს არ დავჯერდები, აუცილებლად სოფელსაც ვკითხავ. თითქოს მე მაშინ ვპოულობ ჩემ თავს, თითქოს მე მაშინ ვგებულობ ვინ ვარ, განა ბაზარში ნაყიდი რამე, ოჯახში კითხა-პასუხი მიმაქვს.

* * *

ბალახის ბუნება ასეთია, ბალახი ბუნებას არ იცვლის, ბალახი არაფერს გაპატიებს. ბალახმა პატიება არ იცის.

ბალახი ყრუ და მუნჯია, ბალახი არაფრის გამგონია, ბალახზე უფრო დიდი მტერი კაცობრიობას არ ჰყოლია. ბალახი უძლეველია, ბალახი ყველაფრის მომრევია, ბალახზე გამარჯვებული აბა, მითხარი, რომელია? ბრძოლას მოიგებ ან წააგებ, ან მტერი მტერთან დაზავდება, ბალახთან ბრძოლა არ სრულდება, ბალახთან ბრძოლა არ თავდება. ბალახის ბუნება ასეთია, ბალახი ბუნებას არ იცვლის, ბალახი არაფერს გაპატიებს. ბალახმა პატიება არ იცის.

* * *

სუნი მიყვარს მე ფოთლების არც მთლად ნედლის, არც მთლად მჭკნარის, თავისთავად ჩამოვარდნილის, ჩამოყრილის განა ქარის. ზოგიერთმა იცის კიდევ მათი ნახვით სულს ვით ვივსებ, მე ყოველთვის ასეთ ფოთლებს ბავშვობიდან დიდ პატივს ვცემ. ასეთ ფოთლებს შეუძლიათ განა რამის დაშავება, ისე, უყვართ ერთად ყოფნა, უყვართ ერთად დაშვავება.

* * *

ბუნებრივია, გინახავთ, ალბათ, აპრილის თვეში, დღისით და მზისით, მოქალაქენი ნერგებით ხელში, ტრანსპორტში საზოგადოებრივში. გვესება გული სითბოთი მაშინ და ვერ აცილებ იმ ნერგებს თვალებს, გინდა იკითხო, ნერგია რისი, მაგრამ რატომღაც თავს შეიკავებ.

* * *

მინდა ვილაცას მადლობა ვუთხრა, სრულიად უცნობ მივიდე კაცთან, ახლა, ამ წუთას, მოულოდნელად, მე დამეუფლა ასეთი განცდა.

რეზო ადამიას

რეზო ადამია ზამთარს ხატავს, კაცს ზამთარი სულში უზის, ხატავს ყინვას და სიცივის, კაცი ტრფიალია სუსხის. ხატავს ბავშვობისდროინდელ უმეტესად ქოხებს ისლის, საიდანაც, როგორც წესი, ხმა ძაგძაგის გამოისმის.

* * *

რახან თბილისში არ მოდის თოვლი, რახან უთოვლოდ გადის ზამთარი, წავალ იქ, სადაც მოდის თოვლი და სადაც ნამდვილი ზამთარი არის. ასეთი ახლა ცემია თურმე, ერთი კვირაა, თურმე რაც იქ თოვს. რაღაცა არის ჩემში ისეთი, ფანტელეებში რომ გახვევას ითხოვს.

* * *

რაც არ უნდა დავსწეულდეთ და დავგაჩნდეს გულზე ბზარი, არ მოვიხმობ სხვა მკურნალი და მაჯისა შემტყობარი. ჩვენ ხომ ერთმანეთის გვწამს და ჩვენ ხომ ერთმანეთის გვეჯერა,

ისევე ჩვენმე მოვუსმინოთ ერთმანეთის გულიცემას. ვინ რა იცის, ცხოვრებაში ვის სად, როდის რა მოუწევს, იმ წამალს რა შეედრება, ერთმანეთს რომ გამოვუწერო.

ალი თავაზოის (თავაზაშვილს)

ფერეიდანში უსინათლო ხანდაზმულმა ალი თავაზოიმ, რომ გაიგო, საიდანაც ვი-ყავით შეგვეყვილა: - გემუდარებით, არ მინდა ისე წავიდე ამქვეყნიდან, ერთხელ მაინც არ ვნახო ჩემი საქართველო, წამიყვანეთ საქართველოში.

ეს რა მითხარი, ეს რა გავიგე, ეს რა მომესმა, ძვირფასო ალი. საქართველოსთვის, საქართველოსთვის, თურმე ხილული გქონია თვალი. ვის გაუგია ასეთი რამე, ვერ გამიგია, ვინა ხარ რა ხარ, იქ ვერა ნახავ ვერავერს თორემ საქართველოში ყველაფერს ნახავ. სიტყვები შენი, სიტყვები შენი, მე ახლა თვალებს ცრემლებით მივსებ, როგორე არ გინდა სიკვდილი თურმე რომ საქართველო არ ნახო ისე. ეს რა მითხარი, ეს რა გავიგე, ეს რა მომესმა, ძვირფასო ალი. საქართველოსთვის, საქართველოსთვის, თურმე ხილული გქონია თვალი.

ლეკვიბი ლისის ტბის გზაზე

განა მარტო მომეფერნენ, განა შემხვდნენ როგორც ვინმეს, თვალიც დიდხანს გამაყოლეს, კუდიც დიდხანს მიქიციენს.

* * *

ნუცუბიძეზე ერთი შაშვი მყავს, არ მოუშალოს ღვთისგან წყალობა კარგა ხანია, ხმაზე ვცნობ უკვე, ექვსის ათ წუთზე იწყებს გალობას.

* * *

გამოვდივარ როს შინიდან, თან მომყვება მე ეს განცდა - თითქოს, რაღაც დამავინწყდა, თითქოს რაღაც სახლში დამრჩა. უფრი მეტიც, მოგესალმობოთ რაც არ უნდა განცდით წრფელით, სულ მგონია, იმ სალაშში მაინც რაღაც დაგაკელით. არ მშორდება მე ეს განცდა, ო, ეს განცდა მე თან დამდევას - რღაცა რომ გაკლებთ ყველას, ყველას რაღაცს რომ გაკლებთ.

* * *

აი, ძვირფასო, მოვედი რისთვის, აი, ძვირფასო, რისი თქმა მსურდა გიყვარდეს უნდა, არსებობ რახან, რახან არსებობ, გიყვარდეს უნდა. სიყვარულისთვის ერთია ყველა, ვინა ხარ, რა ხარ, რა ხარ და ვინ ხარ, მე ისიც მიყვარს, მინახავს ვინც არ, ვინც არ მინახავს, მე ისიც მიყვარს.

მწერლობა და ხელოვნება როგორც წინასწარმეტყველი

მომავალს, მწერლები და პოეტებიც წინასწარმეტყველებდნენ არსებობს მრავალი მხატვრული ნაწარმოები, რომლებშიც ავტორები აღწერდნენ მოვლენებს, რომლებიც შემდეგ რეალურ ცხოვრებაში გასაოცრად „სრულდებოდნენ“. ლიტერატურული პროგნოზების უმრავლესობა, რომლებსაც წიგნებში ვპოულობთ, მეცნიერებისა და სკეპტიკოსების მიერ განიხილება, როგორც დამთხვევა ან ვარაუდი. მაგრამ ამ „დამთხვევათა“ გარკვეული რაოდენობა საკმაოდ მისტიკურია, ასეთ იდუმალ შემთხვევას წარმოადგენს რომანი „ბნელეთის თვალები“, სადაც ლაპარაკია ბიოლოგიურ იარაღზე სახელწოდებით „უჰან-400“, რომელიც შემუშავებულ იქნა ჩინეთის ქალაქ უჰანში – ახალი და იდუმალებით მოცული კორონავირუსის ეპიცენტრში. „ბნელეთის თვალები“ – დაიწერა 1980 წელს. მისი ავტორია პოპულარული ამერიკელი ბელეტრისტი



დინ კუნი. წიგნში ლაპარაკია ჩინურ სამხედრო ლაბორატორიაზე, რომელიც მეცნიერებმა ბიოლოგიური იარაღის ჩარჩოებში შექმნეს. ლაბორატორია მდებარეობს უჰანში, რის გამოც ვირუსი იღებს შესაბამის სახელწოდებას – „უჰან-400“. რომანში, კრისტინა ევანსი ცდილობს გამოარკვიოს, გარდაიცვალა თუ არა მისი შვილი დენი სამხედრო კონფლიქტში, თუმცა მას წინათვრის კარნახობს, რომ ის ცოცხალია. ბოლოს და ბოლოს, ის თავის შვილს სამხედრო ობიექტზე პოულობს, სადაც მას ვირუსით შემთხვევითი დასნებოვნების გამო მკურნალობენ. ვირუსი შექმნილია უჰანის საიდუმლო ლაბორატორიაში. უცნაურია, რომ 1980 წელს როცა წიგნი დაიწერა ბიოუსაფრთხოების მეოთხე დონის ერთადერთი თანამედროვე ლაბორატორია ჩინეთში, მაშინ არ არსებობდა. დღეს ეს ლაბორატორია გამოიყენება სხვადასხვა ინფექციების შესასწავლად, ლაბორატორია უჰანიდან 30 კმ-ს დაშორებით იმყოფება, რამაც კონსპიროლოგებში წარმოშვა ვერსია, რომ ვირუსი ჩინეთის ბიოლოგიური იარაღია. უჰან-400 – იდეალური ბიოლოგიური იარაღია. ის გავლენას ახდენს მარტო ადამიანებზე. ვერც ერთი სხვა ცოცხალი არსება ვერ დაავადდება მისით

ან ვერ გადაიტანს ინფექციას. უჰან – 400 არ არის სიცოცხლისუნარიანი ცოცხალი ადამიანის სხეულის გარეშე (მაქსიმუმ შეიძლება გაძლოს ერთ წუთამდე), მას არ შეუძლია მუდმივად დაასნებოვნოს უზარმაზარი ტერიტორიები, როგორც, მაგალითად, ციმბირის წყულუს და სხვა მსგავს მიკროორგანიზმებს. უჰან – 400 კვდება, როგორც კი ადამიანის სხეულის ტემპერატურა ცელსიუსის შკალით ოცდაათ გრადუსზე ქვემოთ ეცემა. ასეა ნათქვამი რომანში. ვირუსის სიმპტომები, რომლებიც დინ კუნის რომანშია აღწერილი, განსხვავდება 2019-იCoV კორონავირუსის სიმპტომებისგან (თუკი დავეუჯერებთ ოფიციალურ ინფორმაციას). მაგალითად, უცნობია რამდენად დიდხანს შეუძლია კორონავირუსს გაძლოს ადამიანის სხეულის გარეშე, არის თუ არა ის საშიში პირუტყვებისთვის ან როგორ გადაეცემა ის მათგან ადამიანს. დღეისთვის დადასტურებულია, რომ 2019-იCoV გადადის მხოლოდ ადამიანიდან ადამიანზე, თუმცა არსებობს ვარაუდი, რომ მისით ადამიანი შეიძლება დაავადდეს დასნებოვნებული ზედაპირიდან ან საჭმელიდან. დინ კუნის ლიტერატურულ ვირუსსა და რეალურ ჩინურ კორონავირუსს შორის გასაოცარი და საგანგაშო მსგავსების გათვალისწინებით, მასმედია ცდილობდა ეპოვა ამგვარი დამთხვევის ლოგიკური ახსნა. ზოგიერთი ჟურნალისტი წერს, რომ „ფანტასტიკური წინასწარმეტყველების“ ეს ტიპი იშვიათობა არ არის... **მორგან რობერტსონის** 1898 წლის რომანი „**ამაობა**“, რომელშიც მწერალი მოგვითხრობს ოკეანის უზარმაზარ ლა-



ინერზე, რომელიც აისბერგთან შეჯახების გამო ჩრდილოეთ ატლანტიკის ოკეანეში ჩაიძირება. მრავალი გასაოცარი დამთხვევა იყო გამოგონილ გემ „ტიტანისა“ და ავადსახსენებელ, ცნობილ „ტიტანიკს“ შორის, რომელიც ამ რომანის გამოსვლიდან 14 წლის შემდეგ ჩაიძირა. გასაოცარი არის არა მარტო ის, რომ ემთხვევა გემების პარამეტრები ან კატასტროფის მიზეზები, გასაოცარია ის, რომ წიგნში სხვა უცნაური დამთხვევებიც არსებობს, მაგალითად, მგზავრთა, ოფიცერთა და მეწარმეთა გვარები, რომლებიც ლაინერის შექმნასთან იყვნენ დაკავშირებულნი. ასეთი



ლიტერატურული დამთხვევები ერთეული მოვლენას არ განეკუთვნება...

სტივენ სოდერბერგის დრამა „**ინფიცირება**“ მსოფლიო კინოთეატრებში 2010 წელს გამოჩნდა. ფილმის გმირი ბეტ ემფოჰი ჰონგ კონგში გამართული ბიზნეს-კონფერენციიდან დაბრუნებისთანავე გაურკვეველი ტიპის ინფექციით გარდაიცვლება. რამდენიმე დღის შემდეგ კვდება მისი შვილიც. ბეტის ქმარი, მიჩი კი – ინფიცირებულია. ასე იწყება სასიკვდილო ინფექციის გავრცელება. ექიმები ხვდებიან, რომ დაავადება უკონტროლო ხდება, თუმცა მათ ჯერ ინფექციის ტიპი უნდა დაადგინონ. ხალხი კი პანიკამ მოიცვა. ასეთია ფილმის სიუჟეტი, რომელშიც მთავარ როლებს მეტ დეიმონი, ქეთი უინსლენტი და ჯუდ ლოუ ასრულებენ, ასევე ფილმში მონაწილეობენ, გვინეტ პელტროუ, მარიონ კოტილარდი და ცნობილი სხვა მსახიობებიც. სტივენ სოდერბერგის ფილმი „ინფიცირება“, მაყურებელს „ასწავლის“, თუ ვის უნდა ენდოს თითოეული ჩვენგანი მასობრივი არეულობისა და ქაოსის დროს და ვის არა. ფილმში განვითარებულ სიუჟეტს ამსგავსებდნენ 2009 წლის შემდეგ, ქათმის გრიპის გავრცელების გამო მთელ მსოფლიოში ატეხილ განგაშს. მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციის თანახმად, ვირუსის თავიდან აცილება მხოლოდ ვაქცინაციის გავლის გზით იყო შესაძლებელი. თუმცა, თანდათანობით ქათმის გრიპის გარშემო ატეხილი პანიკა ჩაცხრა და მოსახლეობის უმე-



ტესმა ნაწილმა ჩათვალა, რომ გრიპის გავრცელების საშიშროება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ იყო გაზვიადებული. თუმცა, პანიკა რომელიც კორონავირუსის გავრცელების გამო მოიცვა მსოფლიო, როგორც ჩანს გამართლებულია. ჟურნალისტი და მწერალი **იგნასიო რამონე** თავის წიგნში „**ჩუმი პროპაგანდა**“, საუბრობს იმ ქვეტექსტების შესახებ, რომლებიც ფარულად თან სდევნენ ფართომასშტაბიანი კატასტროფების ამსახველ ფილმებს. „როგორც წესი, კატასტროფა „საგანგებო მდგომარეობის“ გამოწვევი მიზეზი ხდება. საყოველთაო არეულობის დროს მთელ ძალაუფლებასა და გადაადგილების საშუალებებს სახელმწიფო ორგანოები ფლობენ, იმართება მილიცია, ჯარი, სპეციალური დანაყოფები... სხვადასხვა სამთავრობო, თუ საერთაშორისო დანესებულებები და სტრუქტურები უპირობო მხსნელებად გვევლინებიან. ისინი ხომ შესაბამის კომპეტენციასა და ტექნიკურ ცოდნას ფლობენ და მასობრივი არეულობების აღკვეთა ძალუძთ. თითქოს ჩვენს ცხოვრებაში აღარ არსებობს იმ მოვლენათა სპექტრი, რომლის გადაჭრაც სახელმწიფო ორგანოების ჩარევის გარეშე შეგვიძლია“. ფილმის სიუჟეტი, ასე ვითარდება, კატასტროფის წინააღმდეგ მებრძოლი გმირები მოქმედების ნებართვას ისეთი საერთაშორისო სტრუქტურებიდან იღებენ, როგორიცაა საგანგებო სიტუაციათა მართვის ფედერალური სააგენტო, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია, ნითელი ჯვარი, დაავადებათა პროფილაქტიკისა და კონტროლის ცენტრი. ფართომასშტაბიან საშველო ოპერაციაში ჩართვის შესაძლებლობა მათ მხოლოდ ამ სტრუქტურებიდან ნებართვის მიღების შემთხვევაში აქვთ. რას წინასწარმეტყველებს ფილმი „ინფექცია“ ვირუსის მასიური გავრცელების შემთხვევაში? საგანგებო სამხედრო მდგომარეობასა და მასობრივ ვაქცინაციას. ფილმის სიუჟეტი ჩვეულებრივი

ოჯახების ყოველდღიური ყოფის გარშემო ვითარდება. მოულოდნელად კინოსურათის გმირებს უცნობი დაავადება დაატყდებათ თავს. ვირუსით დაინფიცირებულ რამოდენიმე ინდივიდს, კი უკვე ათასობით ადამიანის დასნებოვნება შეუძლია. სასიკვდილო ვირუსი შესაძლოა რამოდენიმე დღეში მთელი პლანეტის მამუტებით გავრცელდეს. რეალობასთან დაახლოებული სცენარი კიდევ უფრო მეტ დაძაბულობას ჰმატებს ფილმს და მუდმივ შიშში ამყოფებს აუდიტორიას. „ინფიცირებამ“ ფაქტიურად „შიშის ვირუსით“ დაასნებოვნა ხალხი. სიკვდილის სცენების ამსახველი კადრების შემდეგ შეშინებულ მაყურებელს პანიკა ეუფლება: „ღმერთო, ამ ადამიანმა ვირუსის გამო ცოლი და შვილი დაკარგა! საშინელება! რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ!“ ქვეცნობიერად მაყურებელი უკვე ფილმში მონაწილე გმირად გრძნობს თავს. რეალურად, რაც ფილმში ხდება. კორონავირუსის გავრცელების შემდგომ მართლაც დაიწყო. მასმედით არაერთი ფაქტი შევიტყვეთ-დედ-მამის მიერ ინფიცირებული შვილის მიტოვება, საგანგებო მდგომარეობა, რომელსაც სამხედროები და სპეცდანიშნულების ბრიგადები დემოკრატიის გვერდის ავლით, იძულებით ახორციელებენ, პროდუქტის ნაკლებობა, უმართავი სტრესი და სხვა... აღსანიშნავია, რომ ფილმი იმ „ინფიცირება“ იმ დროს გამოვიდა ეკრანებზე, როდესაც ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია გრიპის ახალი შტამის H5N1-ის გავრცელების დროს პანიკის წარმოქმნაში დაადანაშაულებს. ამავე პერიოდში, ორგანიზაცია დათანხმდა კვლევის გამოქვეყნებას, რომელშიც გრიპის მუტაციის შესაძლებლობებზე იყო საუბარი... ფაქტია, ათი წლის წინ გადაღებული ფილმის სიუჟეტი დღეს რეალობაში დაბრუნდა. ის-ღა დაგვრჩენია ვიცნებოთ ფილმის ეპილოგიც არ განმეორდეს...

ქატიან ზარნაძე
599 52 60 30

შპსი მოთხანია საპროსოგოლა

ლექსები



ო, იცი, ძმაო, ჩემი სული მიფხრენილია, უფრო ძალუმად ვიდრე დროშა ძლეული ლაშქრის, მაგრამ ეს ძალზე ცოტა რამე წამომიროშავს, მიფხრენილია ჩემი სული სიგრძე-სიგანით. ანთოლოგია შევექმენი და გავოგნე ლამის, ეს ვინ ვყოფილვართ, რა ატომურ მდულაბრობისა, ეს ვინ ვყოფილვართ, ვენახიდან ვეფხვის ტორამდე, ან კაცინად გაჭრილ ცხენის ჭირისუფალნი?

მიფხრენილია ჩემი სული, დამიგდე თუ ყური, ყოვლის მოთავე ჩანტლამეა უწინარესად, ტრიბუნა ეძახდნენ თეთრ ტაძრისას შტაინერსავით. იმისი მყიფე მანიფესტი, უისრო ყამი არა ბერგმანის, ანდა კიდევე კვენტინ კომპსონის, უჟამო ყამი, სად ფაუსტმა დრო შეაყოვნა. თეთრგვრემანი აღონია აპოლონი, წიგნით მოვაჭრე, რომლის წითური გოგო, აგერ, ამ ჭრელ ქალაქში, ამ ჭრელ ქალაქში, ჰო, გველპერანგა, ჭრელაჭრულაში აღესრულება ამის ძახილით: მშია, ო, მშია, მშია, მშია, მშია და მშია.

მიფხრენილია ჩემი სული ლორკასებურად თუ ვიტყვი წვეთი წინაგისა – საქართველოსი და საქართველოც ინუნება ოთხივე კუთხით, სიტგან არ ქრიან დამძენძავი ქარაშოტები?! დაფხრენილია ჩემი სული – ჯარჯი ფხოველის, ჭრილობებით, სიტყვით და ქარით, ქალაღებების უდაბნოებით, შესაკრებელით, სადაც მკვლელის ხელივით ცოცავს ხავსი საზარი. ანდა მძლევაირ არაბული, აბა, რომ ჰქვია, მხარზე ვემთხვევი, ორივე ბეჭით ნიშნინია, მარჯვნივ შუბა და მარცხნივ მთვარე, შიგნით? შუაში? საქართველო, სხვა არაფერი. ჯოყოლა მოკვდა, ადათები თან ჩაიყოლა, თავისუფლება მინაჩა ბერობამ დიაცს და შვილის ყოლა ჯურხანის ფარს გამოერიდა.

გადხრენილია ჩემი სული მარჯვნივ და მარცხნივ, ზემოთ და ქვემოთ, შიგნითა და კიდეც გარეთა, ეგი არ არის ძრწოლა რამე უკიდურესის, ან აჩემება, აჰა დადგა აღსასრულიო. ეგი განცდაა არა მხოლოდ საქართველოსი, მსოფლიო განცდა შეიძლება ეწოდოს ამას.

ბადრია ნახე, გუგუშვილი – წითელია იმისი ყელი, შიგ დაიგუბა ჭრელი ქვეყნის სამდურავები, თიხის ფირფიტებს ათამაშებს ხელში ოთარი, ჭილაძე გვარად, დიდი ოთარი სინათლეს რომ უსწრებს სიჩქარით. განა ტარიელ ჭანტურია იქვე არ არის, დაუშრეტელი ნეოგენით, ან გინდა ბათუ დანელია რომლის დედის გამხმარი ხელი, ახლაც, ამწუთას თუთის ფოთლად თავს მაფენია.

განგებ არავინ გამომჩემა, მთვარადის ვოჟი, მისი დან რინგილი – მითოსური ნასახლარი შოტლანდიაში; ირმის ნახტომის დიდოსტატი ინჯია ჯემალ, ანდა ომარი თურმანაული ხვენილი ფრანგეთს, მოჯარულია ყველა ერთად, მამუკა ძმაო, ნიკლაურო, ბურსაჭირელო, რარიგად შესძელ ესოდენი სულწნეხილობა – დიოხის მინა – თორღვა ძაგანი. მიხარის ბუდეს რომ მოექცა ჩემი ბალათერ, არაბულია, ხევისურთ ჯარი ჩამოგვიყენა. ანთოლოგიას ვკონავ-მეთქი, აქ რამდენია, აქ რამდენია რომ ვერ ვატყვ ორნიგნულში, ჰე, ხარჩილავა ვახტანგ ლექსი განზე გასწიე და ყელში ებრდღვენ შეუდრეკლად მხეცს გამეხებულს. აქ რამდენია, აქ წინანი აღარ არსებობს,

არც უკანანი არსებობენ ამ სიმრავლეში, უბრალოდ ახლა ჩემო გონის ხსომიერება აღმასის კუთხით გააბასრებს ზოგთა სტრიქონებს. თორემ სად თქმულა ტყეში ვინ ვის აღემატება, მუხა – რცხილას თუ თხმელა – კუნელს, თუნდაც ენძელას? ვინ მოიგონა განსხვავება მომღერალთ შორის, კრინი ჯობია, მეორე თუ მალალი ბანი?

გაფხრენილია ჩემი სული მარჯვნივ და მარცხნივ, რა გინდა ქარო, საით, სითკენ მიმერეკები, პირამიდების კოჭებისკენ, ნოეს ნაშიერს, შენ რაღა იცი პირამიდა უმართსამართის ნულარ გვონია ხომალდია იგი ციური. არა, ძმობილო, პირამიდა შუმერში იშვა, თიხის ფირფიტამ სამკუთხედად შეკრა ძალუმად, როგორც სიმბოლო დედობრივი საშობისისა. გამოიარა მან შემდგომად ქართული სივრცე, ფალოსზე შედგა იგი საშო, კირბად იწოდა. აი, აქედან გადაეცა ნილოსის ველობს და ამის აქეთ მის წიაღში ძალიან ფრთხილად, სარკოფაგადიან ყავარივით დგება მუშია. დაბანდულია თითქოს მკვიდრად, გულმოდგინებით, მაგრამ მერნმუნეთ ჩემზე ასწილ დაფხრენილია. სული გამქრალა ქვიშროვანში ტორნადოს ძაბრით, ყვრიმალა შერჩა, დენეემის განსაჩხრეკელად, ამტკიცოს ანი გენეტიკის ინჟინერია და ვალალობით მოუბობლავს სარკოფაგამდე.

დაფხრენილია ჩემი სული მარჯვნივ და მარცხნივ, რადგან ყველგან ვარ და მტვირთველი ყოველივესი, იბი სუნეზე არანაკლებად, კაცი არ შერჩა, შუბის წვერებით ფეხშიშველა ანშანს წაიგდეს, ის კი იცინის. გაგიჟდაო, უთხრეს სპასალარს. მიჰგვარეს, მან კი ყველა კითხვა ერთით მოსილა. ნუ გგონიათო ერთიანად ამოგვუჟუჟეთო, შეხედეთ ნელზე ქამრის ნაცვლად რა შემომირტყამს, ვაზის ლერწმო, ასე იყო ჩემი დუნია. დავიმარხებით, მაგრამ ისევე აღვივებითო.

დაფხრენილია ჩემი სული მარჯვნივ და მარცხნივ, ბალახის ფოთლებს რაც ენია ამერიკაში, ლორი უწოდა იმის მწერალს უბირთა ხროვამ, პოეტს, რომელმაც დედამინა მხრებით ატარა და მიატარებს დღესაც, დღესაც შეუდრეკელად. დაფხრენილია ჩემი სული მარჯვნივ და მარცხნივ, აბსენტის ცეცხლით ჰოს ღვარცოფი ყორანს უქშევდა, ყველა რატომღაც ვეღარ ჰგუობს ამ დიად ფრინველს, მხოლოდღა გურია გულის კოვზთან რომ მიიხუტებს.

დაფხრენილია ჩემი სული ანთ ჰოემდე, აღფა ომევა უფრო მოკლეა, სომხურის ანბანს ოცდაცხრამეტი მხედარი ჰყავს, ოცდაცხრამეტი მეციხოვნე, მათი ერთობა ჯერეთ უცნობ სხეულად მდგრადობს, აგლუტინაცია ჰქვია ამას, შემჭიდროვება, შედუღდება ათასისა ერთის სახელით, ჩემი პოემის გემრის ხალხია, მჰერის ხალხია, ვარდებს რომ ფენენ მთელს ლიონეთში, მოწმედ ე, ეგერ, ექსტრა ფუტბოლი ხურცილავა დამემონება, იციან ფასი ჯოხის, რომელსაც ორი ბოლო აქვს უბირთათვის, მათთვის – არცერთი, რადგანაც წრედმა, შარავანდმა შეინოვა ორივე ბოლო და თავიც მუდამ იძებნება იმ გვირგვინისთვის. დაფხრენილია ჩემი სული მარჯვნივ და მარცხნივ, როცა დახვებდა დედამინას – ეიფელი ნემსის ხელა ოლონდ თივის ვეება ზვინში, მხოლოდ კავკასი ილანდება ორი ზღვის შუა, ჰიმალაი და კიდევე რომელი, ესენი თავად დაკუზიანდნენ – დრომადორები, მაგრამ ხომ არის ხელოვნური ქვის წყობილება, ჰაეროვან დრაკონსაც რომ გადაფარავს თვისი აღნავით, ჩინის კედელი, ჩინის კედელი.

დაფხრენილია ჩემი სული ჩემსავე შიგნით, თქვენც იგივე ხართ გაბანგულნი მარიჰუანით, ჰეროინი ხომ უფრო მძაფრია, აკოტრიალე ცხენის რემა ყაყაჩოს ველზე, ფხიკე ოფლთან და მტვერთან ერთად, ყლურწე ჩილიმი და მუხლს ახალე მერე თავი დილა-სალამო.

რით დავაოკო, რა მეთოდით, რა მანქანებით, გოეთე მიყვარს: წამო შეჩერდი! ნიცშეს მიხედვით ღმერთი მოკვდა, ეშმაკი იშვა. აიშვა მწუთხემ, მშვენიერი თვალს მიეფარა რა, შეიცვლება თუნდაც ბენო წუთშესვენებით, მეშვიდე დღეს რომ თვალი ლულა მამაუფალმა?! ორი ხაზგასმა ოთხი მწკრივიდან, ნაგასაკი და ჰიროსიმა აღარ არსებობს, აღარც ჩეჩმა და არც – ტაძარი. დაფხრენილია ჩემი სული გრივალზე მეტად, სად არის ცრემლი გარდახდილის მოსაგლოველი, თითქოს ნუგემად ისევე ვაჟა აღმოცენდება, მაინც სიტყურფით ჰყვავისაო, კმარა ვითომლა?! ვინ, ვინ თქვა არსი უზუსტესი სამყაროსა? არისტოტელემ ბიძგიაო, მაგრამ საიდან? კანტს ემარჯვება მრავალერთობა, ნაწილის და მთელის თანხმობა, ბავშვის ცრემლში რომ დედამინა ჩაიძირება ცოცხლად ვინ რჩება? ან რას იკმარებს მარადქრობად-მარადნთებადში, რომელი, სად და რაგვარ ხვრელში მძრომილა, ხედავს ლაო ძი: ბერეკია მდიდართა შორის თავად მეუფე და გამგებელი. დაფხრენილია ჩემი სული გლამა-გამოლმა, დგას საფრთხობელა აქორჩილი ყანის შუაგულ, ჯვარცმული თუა, ქრისტეს შემდეგ იგია, ალბათ, სახელოები მორღვევია ზღვაურებისგან, საყელო სადღაც მოდღღეზია ხვანჯარისაკენ. აქ წერილი ღელე მოჩხრიალებს იხვებით სავსე, გადაფაფრვია იმას თავზე თხმელების ტვერი, რომ გაიხედო მარადმწვანე გვირაბს გაგონებს, მაგრამ სიმინდის ყანა, დიახაც, ხომ მის წინ ლალანებს, ჯვარზე ვაკურული საფრთხობელას შიშის ამარა. და მივალ, მივალ, მივალსლასებ ამ ძეგლისაკენ, ამაზე მეტი მეგობარი აღარ შემომჩრა, გულში ვიკონებ საფრთხობელას, რათა დროებით, რათა დროებით მაინც ვიძმო მისი ცახცახი

დაფხრენილია ჩემი სული, არსით, არარსით, და ვეუბნები საფრთხობელას, იკმარე ტანჯვა, იკმარე-მეთქი, ა, ტყუპისცალს დააკვირდი ფეხზემოარულს. შეხედე-მეთქი, შეხე, შეხე რა სათუთად გადაგდო ხელი, მაინც მოსხევილ მარგილივით გადამიქანდი. ეგ არაფერი, აჰა, უფრო მძლავრი ტოტები ამოვიყარე, ამოვ ზვავდი, ამოვდიადი, ლამის მონუმენტს გავუტოლდი თავისუფლების, ოლონდ ეგ არის, მე ათასწილ ვჯობივარ იმას, ის ურყევი, გათანგული თავის დიდებით, მე კი ვფართხალე გახლართული თევზის მსგავსად წვრილან ბადეში. მე კი ვფრიალებ ვით ძლეული ლაშქარის დროშა, მე კი ვხანხალე ვით მემბრანა ჭანტურიაშ შამუხს რომ ადარა, მე კი ვძაგძაგებ ვით რელსები მატარებლის გადარბენისას, მე კი მივქრევარ და გრივალი ვეღარ მენევა, თანაც ჩარლივით მეკენიტება ფრჩხილინი კბილებით, მე კი კედელთან თეთრპერანგა ვდგავარ ლულებთან, გოიას მხერამ დაატყვევა საშინელ განცდად. კიდევე რამდენი, ხუნტრუცობა ჭვავის ყანაში, კიდევე რანდენი წრერბენები ტროას გარშემო, კიდევე რამდენი ყოფნა-არყოფნა, კიდევე რამდენი მადონას ღიმი აუხდელ ფარდად, კიდევე რამდენი თუჯის უთო კვენტინ კომპსონის...

დაფხრენილია ჩემი სული გლამა-გამოლმა, ნეეს უწყინარად ჩემი მოძმე, თანამოსაგრე, არ მოჰყოლია მის დაცემას დიდი ხმაური, არც რამ ზიანი მოჰყოლია იმის მითვლემას. ეგი არ არის ჭვავის ყანა, აქ სიმინდია, არც ხოდაბუნი ითქმის მასზე, ყანაა-მეთქი, შემოდან ვუმზერ გადაკოკრილს, შეტაროებულს, ჩემში გროვდება ტყლამატყლში ყელა ქარების, ნუ გეგონებათ შეცდომაა გრამატიკული, აქ სამუშია, ცუნამია, აქ ტორნადოა, აქ მისტრალია, მასქურია, პურგა, რომელი?! ვდგავარ, ვფართხალე, ვიფხრინები და მეღიძება, ყანის მახლობლად ფოთოლიც კი აღარ შრიალებს. ყვავებს რას ვერჩი, მოვიდნენ და იგემონ თვისი, ო, ჩემი სული მიფხრენილი საფრთხობელაა.

თავდაცვის მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილს ჰკითხეს ჟურნალისტებმა, ვანო მერაბიშვილის განცხადებებზე რა კომენტარს გააკეთებთ? რა კომენტარი უნდა გააკეთოთ, ციხიდან ჩვეულებრივი კრიმინალი გამოვიდაო – უპასუხა მინისტრმა. თუმცა, „ნაცმოძრაობის“ პერიოდში შსს-ს მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად მოკლული ადამიანების სიას რომ გადახედავ, დარწმუნდები, ვანო არ არის უბრალო კრიმინალი, ის ჯალათია, რომელმაც თავისი მინისტრობის დროს შსს „ტრუპების“ „გამომშვებ“ სააქტროდ აქცია.

გთავაზობთ არასრულ სიას იმ ადამიანებისა, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ რეჟიმს ემსხვერპლნენ:

1. გიორგი ინასარიძე – 2003 წლის 20 დეკემბერს წინასწარი დაკავების იზოლატორში ნახეს ჩამომხრჩვალნი.

15. აკაკი კორკოტაშვილი – 2005 წლის 19 მარტს გურჯაანში სპეცოპერაციისას მოკლეს.

16. ავთო გუმბაშვილი – 2005 წლის 3 ივლისს სოფელ დუისში ჩატარებული სპეცოპერაციისას მოკლეს.

17. ვახო გუმბაშვილი – 2005 წლის 3 ივლისს სოფელ დუისში ჩატარებული სპეცოპერაციისას მოკლეს.

18. ვახტანგ მარგოშვილი – 2005 წლის 20 ივლისს ქვემო ქართლში, ოფიციალური ვერსიით, საზღვრის უკანონო გადაკვეთისას მოკლეს.

19. ნესტორ ესებუა – 2005 წლის 29 აგვისტოს აბაშის რაიონში დაკავებისას მოკლეს.

წლის 12 იანვარს თბილისში, მეტრო „სამგორთან“ ჩატარებულ სპეცოპერაციის დროს მოკლეს.

31. მარად ართმელიძე – 2006 წლის 12 იანვარს თბილისში, მეტრო „სამგორთან“ ჩატარებულ სპეცოპერაციის დროს მოკლეს.

32. რევაზ ცალანი – 2006 წლის 20 ივნისს მესტიის რაიონში სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა სცემეს, რის შემდეგაც ლოგინს მიეჯაჭვა და მალევე გარდაიცვალა.

33. სანდრო გირგვლიანი – 2006 წლის 28 იანვარს შსს-ს თანამშრომლებმა ანამეს ოქროყანის სასაფლაოზე, რის შემდეგაც გარდაიცვალა.



„ტრუპების“ უემბროვებელი



2. ოთარ გველუკაშვილი – 2004 წლის 20 იანვარს გურჯაანის სოფელ კარდენახში ჩატარებული სპეცოპერაციისას მოკლეს.

3. ანტონ უგულავა – 2004 წლის 9 მარტს დაკავებისას მოკლეს.

4. დიკო ბარჭია – 2004 წლის 17 მარტს მოკლეს ზუგდიდში ჩატარებული სპეცოპერაციისას.

5. ზაზა ფანცქელიძე – 2004 წლის 17 მარტს მოკლეს ზუგდიდში ჩატარებული სპეცოპერაციისას.

6. ვეგენი აფრასიძე – 2004 წელს მესტიის რაიონის სოფელ ეწერში ჩატარებული სპეცოპერაციისას მოკლეს.

7. ომეხ აფრასიძე – 2004 წელს მესტიის რაიონის სოფელ ეწერში ჩატარებული სპეცოპერაციისას მოკლეს.

8. ხვიჩა კვირიკაშვილი – 2004 წლის 23 მაისს გლდან-ნაძალადევის პოლიციის თანამშრომლების მიერ სასიკვდილოდ ნაცემი სახლში მიყვანიდან ნახევარ საათში გარდაიცვალა.

9. ალექსანდრე გომბაშვილი – 2004 წლის 22 ივლისს კახეთში დაკავებისას მოკლეს.

10. ბუტა რობაქიძე – 2004 წლის 23 ნოემბერს დიდუბის პანთეონთან საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა მოკლა.

11. მურთაზ ქარდავა – 2004 წლის 23 ნოემბერს, ოფიციალური ვერსიით, უშიშროების თანამშრომლის ოჯახზე თავდასხმისას მოკლეს.

12. თემურ ხუბუნია – 2004 წლის 23 ნოემბერს, ოფიციალური ვერსიით, უშიშროების თანამშრომლის ოჯახზე თავდასხმისას მოკლეს.

13. სულხან ლომიძე – 2004 წლის 21 დეკემბერს ხელვაჩაურში ჩატარებული სპეცოპერაციისას მოკლეს.

14. ვლადიმერ ხოშტარია – 2005 წლის 21 თებერვალს დაკავებისას მოკლეს.

34. გია თელია – 2006 წლის 13 თებერვალს სპეცოპერაციის დროს მოკლეს.

35. ჯემალ ჩაფიძე – 2006 წლის 28 აპრილს მოკლეს დაკავებისას.

36. ზვიად ბაბუხაძია – 2006 წლის 23 თებერვალს მოკლეს ბაღდათის რაიონის სოფელ ვარციხეში ჩატარებული სპეცოპერაციისას.

37. ბუთხუზ კიზირია – 2006 წლის 23 თებერვალს მოკლეს ბაღდათის რაიონის სოფელ ვარციხეში ჩატარებული სპეცოპერაციისას.

38. ვალერი ბენდელიანი – 2006 წლის 23 თებერვალს მოკლეს ბაღდათის რაიონის სოფელ ვარციხეში



20. გია ოკუჯავა – 2005 წლის 29 აგვისტოს აბაშის რაიონში დაკავებისას მოკლეს.

21. თემურ ცეგვაძე – 2005 წლის 29 აგვისტოს აბაშის რაიონში დაკავებისას მოკლეს.

22. თამაზ კურკუმული – 2005 წლის 12 ოქტომბერს თბილისში სპეცოპერაციისას მოკლეს.

23. ალექსანდრე თაბაგარი – 2005 წლის 24 ოქტომბერს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხანთში მოკლეს.

24. ხვიჩა მელაძე – 2005 წლის 31 ოქტომბერს თბილისში სპეცოპერაციისას მოკლეს.

25. გიორგი მანჯავიძე – 2005 წლის 31 ოქტომბერს თბილისში სპეცოპერაციისას მოკლეს.

26. გიორგი კვირიკაშვილი – 2005 წლის 31 ოქტომბერს თბილისში სპეცოპერაციისას მოკლეს.

27. ლევან გულუა – 2005 წლის 11 ნოემბერს თბილისში გამსახურდისა გამზირზე დაკავებისას მოკლეს.

28. რევაზ სარჯველაძე – 2005 წლის 14 დეკემბერს დაკავებისას მოკლეს.

29. მურად გიორგაძე – 2006 წლის 12 იანვარს თბილისში, მეტრო „სამგორთან“ ჩატარებულ სპეცოპერაციის დროს მოკლეს.

30. რომან სურმანიძე – 2006

ბული სპეცოპერაციისას მოკლეს.

44. ვალერი ფხალაძე – 2006 წლის 7 დეკემბერს ქუთაისში პოლიციელის მიერ მიყენებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა.

45. მიხეილ კარაკოსიანი – 2007 წლის 2 აპრილს ახალციხეში პატრულმა მოტოციკლის გაჩერების მოთხოვნაზე არდამორჩილების გამო მოკლა.

46. გიგა ჭარბაძე – 2007 წლის 25 მარტს თელავში დაეჯახა ავტომობილი, რომელსაც პატრულის თანამშრომელი მართავდა.

47. ალექსანდრე ხოსიტაშვილი – 2007 წლის 14 აპრილს სოფელ დილოში პოლიციელის მიერ ცემის შედეგად გარდაიცვალა.

48. ოლეგ მესხიძე – 2007 წლის 9 მარტს სპეცოპერაციის დროს მოკლეს.

49. ჯუმბერ ნაგერმაძე – 2007 წლის 15 ნოემბერს, ოფიციალური ვერსიით, ბათუმის იზოლატორში თავი ჩამოიხრჩო.

50. თენგიზ გოგია – 2008 წლის 1 თებერვალს საკუთარ სახლში სპეცოპერაციისას მოკლეს.

51. როლანდ მახარაძე – 2008 წლის 5 მარტს, ოფიციალური ვერსიით, ბათუმში მძევლების გათავისუფლების სპეცოპერაციისას მოკლეს.



ჩატარებული სპეცოპერაციისას.

39. ზურაბ ვაზაგაშვილი – 2006 წლის 2 მაისს კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოკლეს.

40. ალექსანდრე ხუბულოვი – 2006 წლის 2 მაისს კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოკლეს.

41. მიხეილ ბერძენიშვილი – 2006 წლის 9 ივნისს საგარეჯოში დაკავებისას მოკლეს.

42. გელა ცინდელიანი – 2006 წლის 1 ივლისს ჭუბურში ჩატარებული სპეცოპერაციისას მოკლეს.

43. ხვიჩა კოკია – 2006 წლის 23 აგვისტოს ხობის რაიონში ჩატარე-

57. ალექსანდრე კვეზერელი – 2008 წლის 29 სექტემბერს გურჯაანის რაიონის სოფელ ზიარში შსს-ს თანამშრომელმა მოკლა.

58. ზურაბ მანთაძე – 2008 წლის 30 ნოემბერს რუსთავის გზატკეცილზე, ოფიციალური ვერსიით, დაკავების შემდეგ საპატრულო პოლიციის ავტომობილში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა.

59. გია კრიალაშვილი – 2009 წლის 20 მაისს თიანეთის გზატკეცილზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად გარდაიცვალა.

60. ჯიმი მეგრელიძე – 2009 წლის 9 მაისს ზუგდიდში დაკავებისას მოკლეს.

61. მამუკა ჩარჩხანია – 2009 წლის 15 ივნისს ნუცუბიძის მესამე პლათოს ასახვევში მოკლეს.

62. ვარლამ ნემსიწერიძე – 2009 წლის 19 აგვისტოს მძევლის გათავისუფლებისას მოკლეს.

63. 7 პატიმარი მოკლეს – 2006 წლის 7 მარტს ციხის ბუნტის დროს.

64. 2 ადამიანი მოკლეს 2011 წლის 26 მაისს აქციის დარბევის დროს.

მიუხედავად ამდენი მკვლელი-ბებისა, გაუპატიურებებისა, ძარცვისა, ოჯახების დარბევებისა და ნაშენებისა, ვანო-ვენო მერაბიშვილს ახლა მაინც, საკნადან გამოსვლის შემდეგაც არ დასცდენია არათუ დიდში, სინანულის ერთი გამოხატულება სიტყვაც კი. ამიტომაც... მე არ ვარ წინასწარმეტყველი, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, მის ფეხქვეშ მინა აუცილებლად დაინვება. ის ვერ გაივლის ქუჩაში, ვერ შევარსტორანში და ვერ გამოჩნდება საზოგადოებრივი თავშესაფარის ადგილებში. რა პოლიტიკა, რის პარლამენტი და რომელი თანამდებობა? ვისაც ეს ადამიანი გაეკარება და ვინც მას გაიკარებს, წყუელიმც იქნება სამარადჟამოდ!

P.S. ამბობენ, ვანო მერაბიშვილს მალე შეაბრუნებენ სამართლო საკანში ჩარლზ დიკენსის წიგნების საკითხავადო... 2007 წლისა და ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის საქმეების განხილვა ჯერ ისევ მიმდინარეობს სასამართლოში. რაც უფრო მეტად დაინყებს ეს ჯეელი ერთი ადგილის თამაშს, მით მალე მიბრძანდება ჩარლზის წიგნების გასაზეპირებლად. დარწმუნებული ვარ, ვერაფერს გაუგებს, მაგრამ მაინც, დანარჩენს დრო გვიჩვენებს, დაველოდოთ.

ლიტერატურული სამყარო

ალმონილია სპინოზას ნაწარმოების თარგმანი, რომელის ჯორჯ ელიოტის მიერ არის შესრულებული

„The Guardian“-ის ცნობით, ალმონილია ნიდერლანდელი ფილოსოფოს-რაციონალისტისა და ნატურალისტის, სპინოზას თარგმანი, რომელიც ინგლისელი მწერლის მერი ენ ევანსის მიერ არის შესრულებული. ამ ქალბატონს მსოფლიოს ლიტერატურული სამყარო ჯორჯ ელიოტის სახელით იცნობს და რომელიც მის რომანებზე ბევრ სიახლეს გვამცნობს. ფილოსოფოსის ისტორიულ ეთიკაზე მუშაობა მწერალ ქალს დაეხმარა, განევიტარებინა მასში ადამიანური ემოციების გამჭრიახი, სიღრმისეული გაგება.

გამოცემა აღნიშნავს, რომ მოკლე დროში გამოაქვეყნებს ბენედიქტ (ბარუზ) სპინოზას „ეთიკის“ ახალ გამოცემას, რომელიც ჯორჯ ელიოტმა თარგმნა, 150 წლის განმავლობაში უცნობი რომ იყო და ბევრ რამეს გვამცნობს ცნობილი რომანის „მიდლმარჩის“ ავტორის შესახებ.

ელიოტმა დასავლური ფილოსოფიის ამ უმთავრესი ტექსტის თარგმანი 1865 წელს დაასრულა, როდესაც ჯორჯ ლუისთან ერთად ცხოვრობდა ბერლინში და ლიტერატურული ფსევდონიმი ჯერ არ ჰქონდა. რომ გამოექვეყნებინათ, ეს იქნებოდა სპინოზას „ეთიკის“ პირველი თარგმანი ინგლისურ ენაზე, მაგრამ ჯორჯ ლუისი გამოცემელს ეჩხუბა 25 გირვანქა სტერლინგის გამო და ეს ნამუშევარი უკანა პლანზე გადავიდა. ამასობაში ევანსი მხატვრული ლიტერატურის შექმნაზე გადაერთო, აიღო ლიტერატურული ფსევდონიმი და 1857 წელს გამოაქვეყნა კრებული „სცენები სულიერი ცხოვრებიდან“, ხოლო 1859 წელს – თავისი სადებიუტო რომანი „ადამ ბედე“.

თარგმანი ათწლეულების განმავლობაში დავიწყებულ

იყო, ვიდრე ზალცბურგის უნივერსიტეტმა აკადემიური აუდიტორიისთვის რამდენიმე ასეული ეგზემპლარი არ დაბეჭდა.

ლონდონის სამეფო კოლეჯის ფილოსოფიისა და თეოლოგიის ლექტორის კლერ კარლაილის თქმით, თარგმანის გამოუქვეყნებლობის მიზეზი ბანალური იყო. ჯორჯ ლუისს გამომცემელმა 75-ის ნაცვლად 50 გირვანქა შესთავაზა. სწორედ ამის გამო დარჩა თარგმანი გამოუქვეყნებელი.

ელიოტმა თავი გამოავლინა, როგორც უდრეკმა ინტელექტუალმა, როდესაც პროგრესული ვესტმინსტერის მიმობილვის არაოფიციალური რედაქტორი გახდა და, ამასთანავე, 1846 წელს გამოაქვეყნა გერმანელი ფილოსოფოსის დევიდ შტრაუსის „იესოს ცხოვრება“, 1854 წელს კი – ლუდვიგ ფოიერბახის „ქრისტიანობის არსი“.

ექსპერტის სიტყვებით, სპინოზას თარგმანი ნათელს ჰფენს „ინტელექტუალური და ფილოსოფიური განათლების ნამდვილად უმნიშვნელოვანეს ეტაპს“.

როგორც კარლაილი აღნიშნავს, ელიოტი ორი წლის განმავლობაში თარგმნიდა ამ ნაწარმოებს, ვიდრე მხატვრული ლიტერატურის წერას დაიწყებდა. ეს თარგმანი იყო ბოლო, ვიდრე მწერალმა ქალმა საკუთარი ისტორიების წერა არ დაიწყო და ჯორჯ ელიოტი გახდა. „სპინოზას ეთიკა ადამიანური ემოციების სიღრმისეულ ანალიზს გვთავაზობს და მე ვფიქრობ, რომ ეს მერი ევანსმაც ისწავლა, რადგან მას მშვენივრად ესმის ადამიანური ემოციები და ისიც, თუ ეს როგორ მუშაობს“, – ამბობს კლერ კარლაილი.

საფრანგეთში ფრანსუა საბანის აქამდე უსწოში დაუმთავრებელი რომანი გამოიქვეყნა

Agence FrancePress-ის ცნობით, ამ ცოტა ხნის წინათ გამოცემულ მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლისა და დრამატურგის

ფრანსუაზ საგანის „დაკარგული“ რომანი, რაც უდიდეს ლიტერატურულ სიურპრიზად იქცა საფრანგეთში.

დაუმთავრებელი 200-გვერდიანი ისტორია, 2004 წელს, დედის სიკვდილის შემდეგ მწერალი ქალის ვაჟმა აღმოაჩინა მის უჯრაში. წიგნმა, რომელშიც მოთხრობილია მაღალი წრის უსაქმურების უაზრო ცხოვრების შესახებ, სენსაცია გამოიწვია.

ისევე, როგორც ფრანსუაზ საგანის სადებიუტო რომანმა, რომელიც შრომისმოყვარე მწერალმა ჯერ კიდევ 17 წლის ასაკში დაწერა, „გულის ოთხი კუთხე“ საფრანგეთის მაღალი საშუალო კლასის ცხოვრების ლაკონურ აღწერას წარმოადგენს. ეს უჩვეულო სასიყვარულო სამკუთხედი, რომლის ცენტრში მდიდარი ბიზნესმენი ლუდოვიკ კრესონია, ბოსტნეულის წარმოებით რომ გამდიდრებულა. მაგრამ იგი ისევე, როგორც სა-



ვეულებრივი თავგადასავალი, ზოგჯერ უტიფარიც კი, ბაროკოს ტონით“.

ცნობილია ფოტოგრაფმა დენის ვესტჰოფმა თქვა, რომ მან ხელნაწერი, რომელიც ორი ნაწილისგან შედგებოდა, დედის გარდაცვალების შემდეგ უჯრაში იპოვა. მან ამ ამბავს „სასწაული“ უწოდა, რომელიც ქონებისთვის სასამართლო ბატალიების დროს მოხდა და თქვა, რომ საგანის ქო-

შექსპირის ზოგიერთი ნაწარმოების ავტორობის საკითხი დღემდე ღია რჩება. ითვლება, რომ რიგ ნაწარმოებთა შექმნაში პოეტს სხვა ლიტერატორები ეხმარებოდნენ. ჩეხმა მკვლევარმა პიოტრ პლენხაჩმა ალგორითმის დახმარებით გაანალიზა „ჰენრიხ VIII“-ის ტექსტი, რომელიც შექსპირის ნაწარმოებების პირველ კრებულში გამოქვეყნდა 1623 წელს და საფუძვლად აიღო ის, რომ ნაწარმოები შექსპირმა და ჯონ ფლეტჩერმა შექმნეს. ამ თეორიას ბევრი თანამედროვე მკვლევარიც ეთანხმება. ჩეხმა მეცნიერმა შეიმუშავა ალგორითმი, რომელმაც განსაზღვრა, ნაწარმოების რომელი ნაწილი ვინ დაწერა. ამისთვის მან „ასწავლა“ მანქანას, ამოეცნო რითი და სიტყვები იმაზე ორიენტირებით და დაყრდნობით, თუ რას ანიჭებდნენ უპირატესობას ავტორები მათ მიერ დაწერილ სხვა ტექსტებში.

ბევრი წინა გამოკვლევისგან განსხვავებით, ამ ჯგუფის წევრებმა შეძლეს ამოეცნოთ კონკრეტული სცენის ავტორი, ტექსტის ფრაგმენტების სავარაუდო ავტორის განსაზღვრისთვის კი გამოიყენეს უწყვეტი ატრიბუციის მეთოდი სცენის საზღვრების მონიშვნის გარეშე. რეზულტატებს ადასტურებს პიესის კანონიკური გაყოფა უილიამ შექსპირსა და ჯონ ფლეტჩერს შორის, რომლის დაწერაც ჯეიმს სპელდინგმა გააგრძელა. ასევე, მოჰყავთ ახალი მტკიცებულებები, რომლებიც ტომას მერიამის მიერ შეთავაზებულ ცვლილებებს ადასტურებს.

ჩატარებული კვლევების შედეგად თანავტორობა დადასტურდა და აღმოჩნდა, რომ ფლეტჩერმა ნაწარმოების ნახევარზე ნაკლები დაწერა. ამასთან, ის არამარტო ცალკეულ სცენებს წერდა, ასევე შეეძლო შექსპირის მიერ დაწყებული ფრაგმენტის დასრულებაც, ზოგიერთი ადგილი კი ორივე ავტორის მიერ იყო დაწერილი.

მაგრამ, მკვლევარის აზრით, ავტორობის საკითხს ეს გამოგონება ვერ გადაჭრის: იქნებ, ავტორები სულაც ერთმანეთს ბაძავდნენ?



განი, საშინელ საავტომობილო კატასტროფაში ხვდება, რომლის შემდეგაც დამტვრეული და განადგურებული, თავის სიდედრთან არეულ-დარეული სასიყვარულო ურთიერთობების მსხვერპლი ხდება.

სისწრაფეზე გადარეული მწერალი 1957 წელს, საკუთარი დიდების პიკზე მყოფი, კინალამ დაიღუპა, როცა თავისი სპორტული ავტომანქანა დაამტვრია და კომპი ჩავარდა. მიუხედავად ამისა, ის მაინც გაემგზავრა პარიზიდან მონტე-კარლოში თავის „იაგუარიტ“, რათა კაზინოში აზარტული თამაშით გართობილიყო.

ახალგაზრდა საგანი ბისექსუალი გედონისტი იყო და არამარტო პარიზის ზრდილობიან საზოგადოებას აგდებდა მოკში, რომლის წარმომადგენელიც თავად იყო, არამედ მთელ ლიტერატურულ სამყაროსაც, რადგან ახალგაზრდული რევოლუციის პირველი ნაპერწკლები 1950-იანი წლების დასასრულიდან დაიწყო.

საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, საგანის ვაჟმა თქვა, რომ ახალი რომანი „სარკასტული და საგანისებურია – არაჩ-

ნება „საეჭვო ხერხებით გაყიდეს, იყიდეს და მოახდინეს მისი კონფისკაცია“.

ვესტჰოფის სიტყვებით, ხელნაწერის სხვადასხვა ფრაგმენტები ძალიან განსხვავებული და ძალიან გაურკვეველი იყო. წიგნის წინასიტყვაობაში იგი აღიარებს, რომ საგანის ყოფილი რედაქტორმა მისი გამოქვეყნება არ ისურვა. ვაჟმა თვითონ იმუშავა ტექსტზე და ისეთი ცვლილებები შეიტანა მასში, რომ რომანის სტილი და ტონი არ შეცვლილიყო.

ხელმოწერა ინტელექტუალური შიშისპირის პიესების თანავტორის განსაზღვრა შეძლო

როგორც კორნელის უნივერსიტეტის საიტზე იტყობინებიან, მრავალწახნაგოვანი პიესის „ჰენრიხ VIII“-ის ავტორი მარტო შექსპირი კი არ არის, არამედ მას რამდენიმე თანავტორიც ჰყავდა. პიესის ტექსტის ანალიზი დაფუძნებულია ყველაზე ხშირად გამოყენებულ სიტყვებზე, რიტმიკულ პატერნებზე და ჯონ ფლეტჩერისა და უილიამ შექსპირის თანავტორობას ადასტურებს.



სწოილი მწერლები, რომლებიც სცენარისტებად გუგაობდნენ

ბევრი გამოჩენილი მწერალი, ფული რომ შემოაკლდებოდათ ხოლმე, ბედს ჰოლივუდში ცდიდა და ფილმებისთვის სცენარებს წერდა. თუმცა, გავრცელებული მითი იმის შესახებ, რომ „ოცნებების ფაბრიკაში“ სცენარისტებს უზარმაზარ ჰონორარებს უხდიდნენ, არ დადასტურდა. გვინდა მოგიხსნათ, როგორ ვითარდებოდა ცნობილი და არც ისე ცნობილი მწერლების ბედი კინოს სამყაროში.

ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი

ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის ბიოგრაფიის დიდი ნაწილი „ოცნებების ფაბრიკასთან“ იყო დაკავშირებული. ჯერ კიდევ



1927 წელს ფულის საჭიროებამ იგი ჰოლივუდში მიიყვანა და სხვადასხვა დროს ცვალებადი წარმატებით თანამშრომლობდა ისეთ კინოკომპანიებთან, როგორცაა „United Artists“ და „Metro-Goldwyn-Mayer“. ფიცჯერალდი ასევე ცდილობდა საკუთარი სცენარების შექმნას, მაგრამ სუფთა წყლის შემოქმედებისადმი სცენარისტის ავტორიტეტის გამო სასარგებლოდ საკუთარ სწრაფვას ვერ აჯობა.

ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის სცენარებს სტუდიები არ იღებდნენ, რეჟისორები და პროდიუსერები ხელახლა წერდნენ მათ, ის კი საკუთარ უბედურებას და დაღლილობას ალკოჰოლსა და კოკა-კოლაში ახრჩობდა და ყოველი ახალი წარუმატებლობის შემდეგ იფიცებდა, რომ ჰოლივუდში მისი ფეხი აღარ იქნებოდა. სკოტ ფიცჯერალდი ხშირად უჩიოდა კინოინდუსტრიის ნაძირებს, მაგრამ ფულის ნაკლებობა აიძულებდა მას, კვლავ კინოსტუდიებისთვის მიემართა. ყველაზე ცნობილი და იშვიათი ფილმები, სადაც ოსტატის მიერ შექმნილი სტრიქონები დარჩა, არის „იანკები ოქსფორდში“ და „სამი მეგობარი“, რომლებიც ერის მარია რემარკის ნაწარ-


მოებების მიხედვით გადაიღეს და „ქარნაღებულნი“, რომლის ავტორიც მარგარეტ მიჩელი გახლავთ.

„ქარნაღებულნი“ სცენარისტისთვის ფიცჯერალდის მიერ შემუშავებულ სცენარზე კინოკომპანიის წარმომადგენლებმა უარი თქვეს, მიუხედავად იმისა, რომ მან ამაზე ძალიან ბევრი დრო დახარჯა. „ოცნებების ფაბრიკასთან“ რთულმა ურთიერთობებმა მას პირად ცხოვრებაში ერთგვარი სარგებლობა მოუტანა – სწორედ იქ შეხვდა მწერალი თავის შეყვარებულს შეილა გრემს, რომელთანაც სიცოცხლის ბოლომდე იცხოვრა. მოგვიანებით ფიცჯერალდის რედაქტორმა მაქს პერკინსმა დაარწმუნა გამომცემელი, რომ

მწერალი ჰოლივუდის მონობიდან „გამოესყიდა“.

უილიამ ფოლკნერი

1932 წლის მარტში ჯონათან კეილის საგამომცემლო ფირმა, რომელსაც უილიამ ფოლკნერისთვის 6,5 ათასი დოლარი ჰქონდა გადასახდელი, გაკოტრდა და უკვე საკმაოდ ცნობილი მწერალი და ავტორი იმ დროისთვის პოპულარული რომანისა „ხმაური და მძვინვარება“, ვალეებში ჩაფლული აღმოჩნდა. მწერალი იძულებული იყო, კონტრაქტი დაედო კინოკომპანია „Metro-Goldwyn-Mayer“-თან და კვირაში



500 დოლარის სანაცვლოდ მისი-სიპის შტატიდან კალიფორნიაში გადავიდა საცხოვრებლად და შტატიანი სცენარისტის საკმაოდ მოსაწყენი სამუშაოსთვის განეწყო. მიუხედავად იმისა, რომ ფოლკნერს ესმოდა, რომ მისი „მოღვაწეობა“ მაღალი ლიტერატურის სფეროს არ განეკუთვნებოდა, თავის სამუშაოს პატიოსნად ასრულებდა და შინ ორ ჩეკს აგზავნიდა ცოლისა და კრედიტორებისთვის.

მას შემდეგ, რაც სტუდია „Metro-Goldwyn-Mayer“-მა იგი სამსახურიდან დაითხოვა, უილიამ ფოლკნერი სახლში დაბრუნდა და ძველ მეგობარს შესჩივლა: „მე მირჩევნია, შინ ვიყო და ფული არ მქონდეს, ვიდრე იქ წავიდე, კინოსთვის ვწერო და გავმდიდრდე“. თუმცა, მას კიდევ მოუწია ოქსფორდში მდებარე თავის რანჩოსა და მოსაწყენ და ცარიელ ჰოლივუდს შორის აქეთ-იქით სიარულმა. ამ ხნის განმავლობაში მან საკუთარი წვლილი შეიტანა სამი უდიდესი კინოსტუდიისთვის სცენარების შექმნაში („Metro-Goldwyn-Mayer“, „20 Century Fox“ და „Warner Bros.“).

იგი ჰოლივუდის კულუარებში შეხვდა თომას მანს, რომელიც ასევე სცენარისტად მუშაობდა და ამით შოულობდა დამატებით ფულს; იმუშავა ერნესტ ჰემინგუეის წიგნის „ქონა თუ არქონა“ და ჯეიმს კეინის „მილდრედ პირსის“ ადაპტირებულ ვარიანტებზე; ჰოვარდ ჰოუკსთან ერთად მუშაობდა თავისი მოთხრობის სცენარზე „სრული ბრუნვი“; ხოლო საკულტო მწერალ-ფანტასტთან ლი ბრეკეტთან ერთად დაწერა სცენარი ფილმისათვის „ღრმა ძილი“ (1946), რომელიც ამერიკელი მწერლის რეიმონდ ჩანდლერის წიგნის მიხედვით გადაიღეს.

1948 წელს სასწაული მოხდა და სტუდია „Metro-Goldwyn-Mayer“-მა 50 ათას დოლარად გამომცემლობა „ლანდომ ჰოუს“-ისგან შეიძინა უილიამ ფოლკნერის წიგნის „ნემტის შემბლენველის“ ეკრანიზაციის უფლება. ნაწარმოების ბედნიერ ავტორს 40



ათასი დოლარი მისცეს. იმ დღეს ფოლკნერი თავის რანჩოზე იყო ფეხშიშველი, მთვრალი და მხიარული. კმაყოფილმა მწერალმა მეგობრებს უთხრა, რომ „აღამიანს, რომელმაც შეძლო საკუთარი წიგნი ჰოლივუდისთვის 50 ათას დოლარად მიეყიდა, უფლება აქვს, დათვრეს და ფეხშიშველმა იცეკვოს“. ასე დასრულდა უილიამ ფოლკნერის ჰოლივუდში მოღვაწეობა, სადაც დაახლოებით 20 წელი იმუშავა და მონაწილეობა მიიღო 50 ფილმის შექმნაში.

რეი ბრედბერი

1953 წელს რეი ბრედბერი ირლანდიაში ბორან „დან-ლერიტ“ გაემგზავრა, რადგან თვითმფ-



რინავით ფრენისა ეშინოდა. მას თან მხოლოდ საბეჭდი მანქანა და ნახევრად ცარიელი ჩემოდანი ჰქონდა. იგი თბილი ამერიკიდან ჯონ ჰიუსტონმა გამოიძახა, რომლის კინონამუშევრებთანაც მწერალი კსნ აღფრთოვანებული იყო, გერმან მეღვინის „მოზი დიკის“ მიხედვით სცენარის შესაქმნელად. მაგრამ სცენარის შექმნა მწერალი-ფანტასტისთვის ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცა: ჰიუსტონი არაფრად აგდებდა მის გრძნობებს, ულმობლად აკრიტიკებდა ბრედბერის მანერებსა და მის ნაწარმოებს. როცა განხილვები ჩხუბში გადაიზარდა, ლიტერატორმა შესთა-

ვაზა, რომ გაეთავისუფლებინათ. მაგრამ რეჟისორს მზა სცენარი სჭირდებოდა, ამიტომ კოლეგები შერიგდნენ. კინოფილმს ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ უდიდესი წარმატება ჰქონდა, რამაც რეი ბრედბერის უსიამოვნო გრძნობები გაანელა. მოგვიანებით მწერალი ამბობდა, რომ ჰიუსტონთან თანამშრომლობა მისთვის შეუფასებელი გამოცდილება იყო, მიუხედავად იმისა, რომ ჯონ ჰიუსტონმა საკუთარი თავი ტიტრებში თანაავტორად ჩაწერა.

მოგვიანებით ბრედბერიმ არაერთი ათეული ძალიან და არცთუ ძალიან წარმატებული კინოსცენარი შექმნა, რომლებთანაც ბევრი საინტერესო ის-

ტორიაა დაკავშირებული. მაგალითად, მისი რომანისთვის „ბოროტი მოდის“, სასცენარო ადაპტაცია სტივენ კინგმა დაწერა, მაგრამ ის ძალიან პირქუშად მიიჩნიეს და ბრედბერი იძულებული გახდა, სცენარი თავად დაეწერა. სცენარი მშვენიერი გამოვიდა. მოგვიანებით კი მწერალ-ფანტასტ რიჩარდ მეტისონთან ერთად დაწერა სცენარი საშინელი მინი-სერიალისთვის „მარსის ქრონიკები“, რომელმაც ბავშვების არაერთი თაობა შეაშინა.

აჟალა გველსიანი
568 90 81 22

რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილაძე.
სარედაქციო კოლეგია: კობა არაბული, ლევან ბრეგვაძე, ლაშა გვასალია, ანზორ სიფრაშვილი, ბათუ დანელია, ირაკლი ვაშაყმაძე, ზურაბ თორია, ერეკლე საღლიანი, გური ოტობაია.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლადის 39.
 E-mail: asavaliprint@yahoo.com

საკონტაქტო ტელეფონები: 593 44 04 01; 595 57 99 43.